კვლევის დასკვნით ნაწილში შესრულდა განაშენიანების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფრაგმენტების სივრცითი მოდელირება; მომზადდა წინაპირობები ცალკეული უბნების არქიტექტურული პროექტირების და საინვესტიციო-გეგმარებითი წინადადებების დასამუშავებლად.

2005 წლის მაისი – დაფუძნდა შ.პ.ს " წინასაპროექტო ქალაქგეგმარებითი კვლევების და საინვესტიციო გეგმარებითი ინოვაციების ბიურო არქიმედია". საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ჩუღურეთის განვითარების სტრატეგიის დამუშავება და მისი რეალიზაცია.

2005 წლის 20 დეკემბერი – ქ.თბილისის მთავრობის დადგენილებით "არქიმედია"-ს მიერ დამუშავებული ჩუღურეთის განაშენიანების განვითარების კონცეპტუალური მოდელი მოწონებულ იქნა. ფირმას მიეცა რეკომენდაცია გაეგრძელებინა მუშაობა დაწყებული მიმართულებით.

2006 წლის 26 ივნისი – მოეწყო ქ.თბილისის მერის შეხვედრა ბუხაიძის ქუჩის მცხოვრებლებთან . შეჯამდა პროგრამაზე მუშაობის 1 წლის შედეგები.

2006 წლის 4 ივლისი – ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა დაამტკიცა "ჩუღურეთში, ბუხაიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

## პილოტ-პროექტი – ბუხაიძის ქუჩა

პილოტ-პროექტისთვის (სურ.1) შეირჩა მონაკვეთი ბუხაიძის ქუჩასა (სახლები №№ 18-38) და ბუხაიძის I შესახვევს ( სახლები №№ 6/8 -28) შორის, შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე:

აღნიშნული მონაკვეთი კვლევის მთელს არეალში ყველაზე მეტად ავარიული და დაზიანებული აღმოჩნდა;

მიწის ნაკვეთი ხასიათდება ჩამოყალიბებული ფიზიკური საზღვრებით, რთული რელიეფით და ოპტიმალური პარამეტრებით ქალაქგეგმარებითი წარმონაქმნის შესაქმნელად.

შერჩეული ტერიტორიის ქალაქგეგმარებითმა გააზრებამ მიგვიყვანა ტრადიციული გეგმარებითი ერთეულის – უბნის თემამდე.

უბანი – თბილისური ყოფის ეს განუმეორებელი ფენომენი, თანამედროვე ქალაქის ხშირად ანონიმურად განაშენიანებულ სივრცეში, შეიძლება დაბრუნდეს ძლიერი არქიტექტურული და სოციალური სტიმულიატორის სახით. უბნის ფარგლებში მოიაზრება როგორც უნიკალური პიროვნებათშორისი საკომუნიკაციო გარემოს, ასევე სრულიად ექსკლუზიური მხატვრულ-ესთეტური გარსის ფორმირება. საფეხმავლო ბულვარი გრძივი ღერძის გასწვრივ მიჰყვება უბანს. ამ ღერძის მთელს სიგრძეზე "გამოფენილია" საქმიანი ყოველდღიურობა – საზოგადოებრივი მომსახურების მთელი ქსელი: - საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზ.კვების ვაჭრობის, გართობისა და დასვენების და სხვ. ობიექტები (სურ.2).

საქმიანი გარემოს შექმნა თავისთავად ნიშნავს დასაქმების გარემოს – ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ერთიანობის ამგვარი გააზრება თანამედროვე ინტერპტრეტაციით ტრადიციული ქალაქური ყოფის მოდელირების მცდელობას წარმოადგენს.

პილოტ-პროექტის დამუშავების პროცესში წამოჭრილი სირთულეებიდან აღსანიშნავია:

- პრობლემები სამეზობლო საზღვრების დადგენისას;
- მიტაცებული მიწები და ამ მიწებზე აშენე-



სურ. 2

illustration 2

ბული თუ მშენებარე უძრაობა.

წლების განმავლობაში უმეთვალყურეოდ მიტოვებული, თვითდინებაზე მიშვებული ეს პრობლემები ძალზედ ართულებს საკადასტრო ნაწილის დამუშავებას და მთლიანობაში აფერხებს საპროექტო მენეჯმენტს. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს სამუშაოს ძიებაში უცხოეთში წასული ზოგიერთი მოსახლის მოძებნა და დაკეტილი საცხოვრებელი ფართის აღწერა.

გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს საპროექტო უბნის საზღვრებში არქიტექტურულად და ფუნქციურად შეუსაბამო ობიექტების არსებობა. ერთიანი ქალაქგეგმარებითი კონტექსტიდან ამოვარდნილ ამ ნაგებობებს, რომლებიც ყოველგვარი სამშენებლო ნორმების დარღვევით არის აგებული თავიანთ გარშემო "შეჭმული" აქვთ სივრცითი რესურსი, რითაც განვითარების საშუალებას მკვეთრად უმცირებენ ან საერთოდ უსპობენ მიმდებარე განაშენიანებას (სურ.3).

არსებული პირობები თითქმის შეუძლებელს ხდიან ამ შენობების დემონტაჟს ან რეკონსტრუქციას.

## ზოგადად სტრატეგიის შესახებ

განვითარების სტრატეგიის ფორმულირება ჩუღურეთისთვის ზოგადად შემდეგნაირად გამოიხატება: ქალაქმშენებლობითი სივრცე წარმოადგენს ისტორიულ ქსოვილზე დაყრდნობილ კომპოზიციურ სქემას შექმნილს უბნებისაგან, რომელთა საზღვრების ფიქსირება შესაძლებელია ბუნებრივ-ფიზიკური კომპონენტების :- გზების, გასასვლელების, ქუჩა-კიბეების, შენობა-ნაგებობების მეშვეობით. ცალკეული სივრცეების ქალაქგეგმარებითი მოწესრიგება გულისხმობს ტრადიციული უბნების აღდგენა-განვითარებას და მათ ინტეგრაციას ცხოველქმედების თანამედროვე პირობებთან.

## სივრცით-გეგმარებითი და ... მენტალური მოდელები

გარემოს მოდელირების პრინციპი ჩუღურეთში ტრადიციული ქალაქური ყოფისთვის დამახასიათებელი ელემენტების (ქუჩაზე გახსნილი სავაჭროები და სახელოსნოები) და თანამედროვე გეგმარებითი სტანდარტების (აერაციისა და ინსოლაციის, ერგონომიკის, ვარიაბელური არქიტექტურისა და ინვარიანტული გეგმარების, სეისმური მდგრადობის, ხანძარსაწინააღმდეგო და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნები და სხვ.) ერთგვარ სინთეზირებას წარმოადგენს. მოდელირების "შრეები" მუშავდება: ფუნქციონალური, სოციალური, მხატვრულ-ფორმალისტურ და სხვა კონტექსტებისთვის. ამ კონტექსტების ერთმანეთზე დადება-შეთავსებით მიიღწევა პროდუქტი – სივრცითი მაკეტი, რომლის შემდგომი დეტალური დამუშავებაც იძლევა ექსტერიერის პლასტიკას, დიზაინს და ზოგადად გარემოს არქიტექტურას. ამგვარია რეკონსტრუქციის, რევალორიზაციის, ადაპტაციის და ნებისმიერ სხვა ტრანსფორმაციაში დამგეგმარებლის მიერ აღქმული ისტორიული გარემო. ამგვარად მიეწოდება იგი მომხმარებელს (სურ.4).

გარემოს აღქმა მენტალურ–სამომხმარებლო დონეზე, როგორც წესი, განსხვავდება წარმოდგენილი ხედვისაგან: პრიორიტეტებად აქ უტილიტარულ-ყოფითი მოთხოვნები (დიდი ფართი, საკუთარი ავტოფარეხი, კომუნალური საინჟინრო ქსელებით უზრუნველყოფის საიმედოობა და ა.შ.) გვევლინება. ხშირია საკუთრებაში არსებული უძრაობის(საცხოვრებელი ბინის, მიწის ნაკვეთის ფართის) არასწორად წარმოდგენა გამორჩენის მიზნით. ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მდგრადობა, აგრეთვე არაადექვატური მოთხოვნები მოსახლეობის მხრიდან (ფართის სიდიდის და აღჭურვის თვალსაზრისით მკვეთრი სხვაობა არსებულ და მოთხოვნილ საცხოვრებელ პირობებს შორის) აჭიანურებს მოსახლეობასა და ინვესტორს შორის ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდის პროექტირების და შემდგომ მშენებლობის წარმოებას (სურ.5).

აღნიშნული გარემოებები მომხმარებლის შემეცნების განვითარებისთვის პროგრესული გზების და მეთოდების ძიების, ხოლო პროექტირებაში ძლიერი ინტელექტუალური რესურსის ამოქმედების აუცილებლობას განსაზღვრავს.

## იდეის გენერაცია და ტრანსფორმაცია. ახალი პროექტები

ბუხაიძის ქუჩის პროექტით მიღებული გამოცდილება და მისი განვრცობა ჩუღურეთის კვლევის არეალზე რიგი ახალი გადაწყვეტების დანერგვის




სურ. 7 illustration 7

აუცილებლობაზე მიგვანიშნებს. მომიჯნავე უბნების შესწავლის და პროექტირების პროცესში მოიაზრება წინმსწრები-წინასაპროექტო ღონისძიებების გატარება. ამგვარ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით ეფექტურად გვესახება მიღებული გამოცდილების და კონკრეტული სამშენებლო მიზნების რეზიუმირებული სახით მოსახლეობისთვის მიწოდება (ბუკლეტი, საინფორმაციო წერილი და სხვ.), რაც უკვე მოისინჯა როგორც ბუხაიძის ქუჩაზე (სურ.6), ასევე II გეგმარებით უბანზე – გამცემლიძის ქუჩაზე (სურ.7). წინასაპროექტო ზონდაჟიდან მოსახლეობის ნების პირველად გამოხატვამდე (კოლექტიური განცხადება უბნის განაშენიანების რეკონსტრუქციის მოთხოვნით) დროის შუალედში მოსახლეობას საშუალება ეძლევა გაეცნოს განვითარების პერსპექტივებს, ნებაყოფლობით შეუერთდეს პროგრამას პროექტირების ადრეულ სტადიაზე და სხვ.

## „სუსტი რგოლები" ისტორიული გარემოს განვითარების ჯაჭვში

ერთი შეხედვით, სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ისტორიული ზონის პირობებში განაშენიანების რეგულაციის თვალსაზრისით, მაგრამ ამ ღონისძიებებს აკლდა მოტივაცია და ამდენად, მოსახლეობის მხრიდან, ის აღმკვეთ-სადამსჯელო ზომებად უფრო იქნა აღქმული. არქიტექტურულ დარგში ჯერ კიდევ საკმაო დოზით არსებული ბიუროკრატია, ლოზუნგომანია და ზოგადად არაპროფესიული მიდგომა შეუძლებელს ხდის გატარდეს ეფექტური სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პოლიტიკა, შეიქმნას ჭეშმარიტად მიმზიდველი საინვესტიციო გარემო ძველი თბილისის ავარიულ უბნებში. ამ მხრივ, მუნიციპალურ დონეზე უნდა განისაზღვროს საერთაშორისო გამოცდილების და ეროვნული ამბიციების შეჯერების შესაძლებლობა.

## ბანკირებო გამოფხიზლდით!!!

საინვესტიციო კლიმატს დღეს ისტორიულ ზონაში, ისევე როგორც მთლიანად სამშენებლო სფეროში კერძო სექტორი ქმნის. მასშტაბური პროგრამების და პროექტების სიცოცხლისუნარიანობაც ბანკების, დეველოპერული კომპანიების, ფინანსური ჯგუფების პრეროგატივას წარმოადგენს და მთლიანად მათ გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული.

საუკეთესო შემთხვევაში, ბანკები, კონკრეტული პროექტისთვის ითხოვენ მთლიანი სამშენებლო მოცულობის რეალიზაციის 20-30%-ის ჩვენებას, და მხოლოდ შემდეგ ხსნიან საკრედიტო არხს.

უნდა ითქვას, რომ თვით საკრედიტო არხიც, მაინცდამაინც სახარბიელოდ არ გამოიყურება, ვინაიდან საპროცენტო განაკვეთი წლიურ 14-16%-ს შეადგენს, რაც სამშენებლო სფეროში, ეროვნული ბიზნესის ფეხის ადგმის ეტაპზე ძლიერ სტიმულად ვერ გამოდგება, განსაკუთრებით ისტორიული უბნების აღდგენა-განვითარების რთული მენეჯმენტის პირობებში.

ჩამოთვლილი ფინანსური სტრუქტურები თითს არ გაანძრევენ, ზედმეტ თეთრს არ გაიღებენ და საერთოდ არ გაიხედავენ ისტორიული ზონისკენ, თუ იქ არ ეგულებათ მოგების სწრაფი და გარანტირებული წყარო, თუნდაც მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული და ეკონომიკურად დასაბუთებულ პროექტებთან ჰქონდეთ საქმე. ამგვარი გარანტიების მოპოვება ინვესტორებს მხოლოდ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებებით (პროექტის დამტკიცება, მშენებლობის ნებართვის გაცემა) შეუძლიათ. მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ, მოითხოვს: მყარად არგუმენტირებულ, დროში გაწერილ, მოსახლეობისთვის ყველანაირად დაცულ (სოციალური და ფინანსური თვალსაზრისით), ქალაქის ინტერესებზე მორგებულ (ისტორიული გარემოს შენარჩუნების ასპექტში) და მაღალმხატვრულ დონეზე (საპრეზენტაციო ვერსიით) ნაშრომების წარმოდგენას, რის მომზადებასაც საკმაო ძალისხმევა და დრო სჭირდება და რაც ... საკმაოდ ძვირი ღირს!

თუმცა, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ცივილიზებულ სამყაროში, უძრაობაც ყველაზე ძვირი სწორედ რომ ქალაქების ისტორიულ უბნებში ღირს. ასე რომ, ბატონო ბანკირებო, გამოფხიზლდით!!!

## დასკვნები უახლოესი მომავლისთვის

ვინ რას ელის პროგრამის რეალიზაციის შედეგად? როგორ დავგეგმოთ და როგორ მივაღწიოთ დაგეგმილს; რა შედეგებს მოიტანს პროგრამის რეალიზაცია? –ეს კითხვები კიდევ მრავალჯერ დაისმება ვიდრე ჩუღურეთში რეაბილიტაციის პროგრამის პირველი ნიშნები გამოჩნდება: – აშენდება პირველი შენობები, მოიკირწყლება საფეხმავლო ბულვარი, გაიხსნება ოფისები, მარკეტები, მოკლედ ამოქმედდება ინვესტიცია. მანამდე კი სასურველია გაკეთდეს შემდეგი:

– მოსახლეობამ ირწმუნოს იმ სიკეთის მიღების რეალურობა, რისი შანსიც მხოლოდ კომპლექსურად, პროგრამის განხორციელების შედეგად ეძლევა.

– მუნიციპალიტეტმა გააქტიუროს ძალისხმევა ისტორიული ზონის აღდგენა-განვითარების საშურ საქმეში; განსაზღვროს სარეაბილიტაციო პროგრამების და პროექტების პრიორიტეტულობა და გაატაროს მოქნილი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა მათი სწრაფი და ეფექტური რეალიზაციის მიზნით.

– კერძო სექტორის სტრუქტურებმა გადახედონ საკუთარ საფინანსო პოლიტიკას, განსაკუთრებით გრძელვადიანი პროგრამების და პროექტების დაფინანსების და თანადაფინანსების სფეროში (სურ.8).

*წინასაპროექტო ქალაქგეგმარებითი კვლევებისა და საინვესტიციო-გეგმარებითი ბიურო "არქიმედის"-ს დამფუძნებელი*
გიორგი გიორგაძე



სურ. 8 illustration 8

# Chugureti Rehabilitation Program – Past and Future

## PROGRAM BACKGROUND

Old Tbilisi always attracted architects. A complex history of development of Georgian architecture is marked with the impact of different epochs and personalities. This article describes an attempt at rehabilitation and development of one particular district of Tbilisi, belonging to the historical part of the city, which was caught in a surge of large-scale reconstruction programs, covering historically valuable parts of Georgian capital.

In the 1990'ies (as compared to early 1980'ies), the activities of Tbilisi municipality aiming at rehabilitation of architectural setting of historical districts of the city did not exceed occasional reinforcement of decayed house walls prior to annual Tbilisoba festivals. Beginning of the 21st century did not bring any considerable changes, except that municipal authorities launched a powerful PR campaign in favor of Old Tbilisi and against architects, destroying characteristic historical districts. This hullabaloo continued into short-term appointments and unexpected replacements of architecture-related functionaries in municipal structures and refurbishing of facades all over the city, which did not bring any substantial results either – the issue is still unsolved and will remain so, unless the approach is changed in a radical manner.

Our program, launched 8 years ago, aims at changing the approach toward the issue of old Tbilisi.

What has been done in this regard by now? What is the goal of Chugureti rehabilitation program? Why did the preparatory period stretch over such a long period of time and when will its implementation start? We need answers to these and many other questions. I will try my best to provide full answers, which obliges me to follow the chronological order:

1999 is considered as the beginning of Chugureti Rehabilitation and Development Program. Around this period, based on the request of local authorities, first draft plans were developed for reconstruction of the most decayed part of Bukhaidze Street.

April 2002 – a strong earthquake brought considerable damage on the obsolete architectural setting of Chugureti district.

2003-2004 – Based on the tender, announced by Tbilisi Municipality, a complex research was conducted in Chugureti. The research covered a large territory between Kibalchich Gorge, Chkheidze Street, Gorki Street, Gorki Lane and railway with 2712 inhabitants on the total area of 69588 sq. m. (including 50088 sq. m. of residential area).

Researchers collected important materials on architectural setting, engineering networks and physical state of roads in the area, defined population density ratios (per house), created an inventory of architectural and urban monuments, systemized the cultural heritage.

Special attention was paid to the urban planning analysis of the research territory. In this context, we fully covered morphological background of the district, its spatial planning structure, etc.

Conclusive stage of the research aimed at creation of spatial models of the most important sections and systemizing the information, required for architectural planning of various areas and development of investment proposals.

May 2005 – Pre-project Urban Planning Research and Investment Planning Office Archimedia was founded, its key activity being defined as creation and implementation of Chugureti District development strategy.

December 20, 2005 – Tbilisi authorities approved the conceptual model of Chugureti District development, submitted by Archimedia. The company was offered to continue its activities in the same strain.

June 26, 2006 – Representatives of Tbilisi Municipality held a meeting with residents of Bukhaidze Street; 1st year activity results were summarized.

July 4, 2006 – City Office of Urban Planning at Tbilisi Municipality approved Bukhaidze Street Area Development Regulation Plan.

## PILOT PROJECT IN BUKHAIDZE STTEET

For implementation of the pilot project (illustration 1) we selected an area between Bukhaidze Street (houses no. 18 to 38) and Bukhaidze Lane 1 (houses no. 6/8 to 28), based on the following considerations:

During the research, the mentioned area was identified as the most damaged;

The area has distinct physical boundaries, complex relief and optimal parameters for creation of an urban planning structure.

Analysis of the urban planning aspects of the selected area brought to the fore a traditional planning unit – ubani (sub-district).

Ubani – a unique phenomenon of Tbilisi life, can be reintroduced into the anonymous modern architectural setting as a powerful architectural and social stimulant. The notion of ubani implies, on the one hand, unique interpersonal communication environment and, on the other hand – an exclusive creative / aesthetic milieu. The lengthwise axis of ubani is marked by a pedestrian boulevard, housing day-to-day business activity of the district – a network of consumer service offices, catering establishments, retail sale and leisure outlets (illustration 2).

Creation of a business environment implies employment opportunities. Such combination of residential and businesslike environments represents an attempt at modern interpretation of old Tbilisi traditions.

Of the issues we encountered while developing the pilot project, I find it necessary to mention the following:

problems with delimiting of neighboring areas;

expropriated land plots with finalized or ongoing real property.

These problems, unattended for many years, greatly complicate solving of land registry issues and cause obstacles to actual implementation of the project in general. The situation is further aggravated by the need to locate some of the residents, who left the country, and include their apartments into the general inventory.

Certain difficulties are caused by presence of architecturally and functionally irrelevant constructions within the project area. These buildings, interrupting the general urban context and violating all conceivable construction standards, make the surrounding "spatial resources" unusable and hinder architectural development on the adjacent territories (illustration 3). Existing conditions make it almost impossible to dismantle or reconstruct such buildings.

## GENERAL STRATEGY

Strategy of Chugureti District development can be briefly formulated as follows: urban development space represents a compositional scheme, based on historical background and incorporating sub-districts (ubani), possibly delimited by natural and physical components: roads, passages, buildings, etc. Regulation of existing architectural areas implies rehabilitation and development of their traditional sub-districts and ensuring of their conformance with modern life requirements.

## SPATIAL PLANNING AND... MENTAL MODELS

Space modeling principle applied to Chugureti District is the synthesis of traditional city life components (retail sale outlets and workshops existing in the street) with modern planning standards (such as air conditioning and insulation, ergonomics, variable architecture and innovative planning, seismic resistance, fire and environment protection requirements). The "modeling layers" currently being developed include functional, social, artistic and other aspects. Combination of these contexts will result in a final product – spatial model, which can be further processed to define exterior design and architectural image of the area. This is how historical environment is processed for reconstruction, revalorization, adaptation and any other transformation – this is how it is submitted to the end users (illustration 4).

Consumer-oriented perception of the environment is usually different from the above approach: here the priority meaning is attributed to utilitarian requirements (large residential area, car parking, reliability of communal networks, etc.). Often the owners of real property try to gain profit by distorting the value of their possessions (e.g. area of residential house or a land plot). Tenacity of existing stereotypes as well as inadequate demands on the part of local residents (e.g. incompatibility of declared residential areas / facilities with the actual situation) hinder negotiations between investors and the population, causing problems to project development and construction (illustration 5).

Such factors make it important to increase the awareness of end users and involve intellectual resources into project development activities.

## IDEA GENERATION AND TRANSFORMATION. NEW PROJECTS

The experience of Bukhaidze Street project shows the necessity of applying new solutions while working on the other parts of Chugureti research area. Exploration and project development at the adjacent territories imply implementation of preliminary project activities, most efficient of which, as we believe, are sharing of the already gained experience and actual construction goals with the local population (in the form of booklets, newsletters, etc.) – this method was already tested in Bukhaidze Street (illustration 6) and the 2nd planning site – Gamtsemlidze Street (illustration 7). Before finalizing and submitting their reconstruction requests, the population has can get familiar with development perspectives, voluntarily join the program at an early stage of project development, etc.

## "WEAK POINTS" IN THE DEVELOPMENT OF HISTORICAL BACKGROUND

It seems that the government made certain steps toward regulation of the architectural setting of the historical part of Tbilisi, but their actions lacked motivation and were rather accepted by the population as punitive measures. The bureaucratic and semi-professional approach, still prevailing in the architectural sphere, makes it impossible to launch an efficient construction-rehabilitation policy and create a favorable investment environment in the obsolete parts of old Tbilisi. In this respect, it is really important to counterbalance local ambitions with international experience.

## TO THE ATTENTION OF BANK OWNERS

Nowadays, investment climate in the historical districts, as well as in the construction sphere generally, is regulated by the private sector. Sustainability of large-scale programs and projects fully depends on such structures as banks, development companies and financial groups.

In the better case, launching of a credit line for this or that project is possible only after the bank receives a confirmation of 20-30% of the total construction area being realized. It should be noted that in the majority of cases credit conditions with a 14-16% of annual interest can hardly be called favorable considering the weak state of domestic business and difficulties existing in the sphere of historical district rehabilitation / development.

Further on, it is almost impossible to ensure the support of financial structure without providing them with secure and quick opportunities of gaining profit – which requires time, effort and money-consuming work on obtaining necessary permits from the municipal authorities and reaching full consensus with local population.

In the meantime, the civilized world knows that it is in the historical districts that the real property prices are highest – dear bank owners, please pay attention to this circumstance!

GIORGI GIORGADZE

*founder of Pre-project Urban Planning Research and Investment Planning Office Archimedia*



# ღირებული, ისტორიას არ უნდა ჩაბარდეს

ქუთაისის ისტორიული ცენტრში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ბაღის (ყოფილი წულუკიძის სახელობის ბაღი) და ამ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტი შემუშავდა. მისი რეალიზაცია დაწყებულია. პროექტის ავტორი: არქიტექტურული სტუდია "მ კვადრატი".



ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიული კერის, ქუთაისის ქალაქურობას მისი ისტორიული უბნების განუმეორებლობა - ხიდებით, მოედნებით, ბაღებით დაკავშირებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი განაშენიანების ურბანულობა და უზუსტესი მასშტაბურობა განსაზღვრავდა.

მოვიდა დრო და ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად უნიკალური ისტორიული ძეგლების განადგურება ჩათვალეს საჭიროდ, რამაც მომენტალურად დაარღვია ქალაქის იერსახე.

ქალაქს სჭირდებოდა რეგენერაცია - სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რადგან ის რაც ღირებულია, ისტორიას არ უნდა ჩაბარდეს. პირველ რიგში კი არ უნდა დაკარგოს ფიზიკური ღირებულება, რაც თავისთავად მხატვრულ და კულტურულ ღირებულებებს ნიშნავს.

ქალაქის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის იდეა თანდათან ჩამოყალიბდა, დაიხვეწა და არქიტექტურული სტუდია „მ კვადრატის“ თაოსნობით, რომელსაც არქიტექტორი დავით ცუცქირიძე ხელმძღვანელობს, ქუთაისის ისტორიულ ცენტრში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ბაღის ( ყოფილი წულუკიძის სახელობის ბაღი) და ამ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტი შემუშავდა. მისი რეალიზაცია დაწყებულია. წინასწარი გეგმის მიხედვით, 2 მაისისთვის დასრულდება ბაღის გამწვანება-კეთილმოწყობის სამუშაოები, მის ტერიტორი-








აზე, თანამედროვე იერსახით აღდგენილი იქნება კაფე, სუვენირების მაღაზია და საბაგირო გზა, ორივე სადგურით, რომელიც აღნიშნულ ბაღს გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკთან დააკავშირებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბაღის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას მიწის ქვეშ (აღდგენილი კაფეს ქვეშ) აღმოჩენილი იქნა XV-XVIსს-ის საცავები, რომელთა აღდგენა - რეკონსტრუქციაც, შემდგომში კიდევ უფრო მნიშვნელოვან დატვირთვას მისცემს კომპლექსის არქიტექტურულ გამომხატველობას. თუმცა მხოლოდ ამით არ ამოიწურება აღდგენითი სამუშაოები. მოცემული უბნის ახლადშემუშავებული გენგეგმა, რომელიც მდ. რიონის დღევანდელი და ისტორიული სანაპიროს ოპტიმალური შეჯერებაა, მოიცავს უფრო ვრცელი ტერიტორიების ათვისება-რეგენერაციას. ეს ტერიტორიები, ძირითადად საფეხმავლო, სხვადასხვა დანიშნულების ზონებად იქნება დაყოფილი.

გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში საბავშვო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ზონები და კულტურული ცენტრი განთავსდება. თავისთავად ცხადია რეაბილიტაციის პროექტი მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ, არქიტექტურული თვალსაზრისით, ღირებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების აღდგენასაც ითვალისწინებს.

იმ მასშტაბურობის დადგენა თუ რა ფართს დაიკავებს მრავალფუნქციური სტრუქტურის ზონები საერთო მოცულობაში, განპირობებული იქნება დამფინანსებლების მოთხოვნებისგან.

სამომავლო პროექტზე დავით ცუცქირიძესთან ერთად (სტუდია „მ კვადრატი“) რამდენიმე სხვა არქიტექტურული და სამშენებლო კომპანიაც მუშაობს.

დღეს არსებობს პრაქტიკული შანსი მისი განხორციელებისა. პროექტი რა თქმა უნდა კიდევ გადამუშავდება მოცულობათა ლავირებისა თუ კონსტრუქციული ნაწილის დახვეწის ხარჯზე. საბოლოოდ კი მოხდება ამ სივრცის მოცულობითი მთლიანობის რეაბილიტაცია და დროთა განმავლობაში ძველ მასშტაბში შექმნილი ურბანული ქსოვილი აღდგება.

ნინო ლაღიძე











# The Values Should Not Be Left Behind

The urban character of Kutaisi - one of the traditional centers of Georgian culture and art - was defined by the originality of its meticulously planned and carefully developed old residential districts, interlinked by bridges, squares and gardens.

Then came the time when someone found it expedient to destroy the unique historical heritage in order to support new life requirements, and this immediately damaged identity of the city.

The city requires regeneration, because the valuable heritage should not be left behind. In the first place, this applies to physical values with their cultural and artistic connotation.

The idea of rehabilitating the historical center of Kutaisi was conceived and developed gradually. In the long run, architectural studio "M Kvadrati", managed by architect David Tsutskiridze, came out with an initiative to create a project on rehabilitation of Veriko Anjaparidze Garden (former Tsulukidze Garden) and the surrounding residential constructions, located in the historical part of the city. The project is being implemented right now. According to preliminary estimates, rehabilitation of the Garden, including landscaping works as well as reconstruction of a cafe, a souvenir shop and funicular stations, linking the site with Gabashvili Culture and Recreation Park, should be finalized by May 2. It should be noted that in the course of reconstruction 15th-16th century storage facilities were discovered under the cafe - after rehabilitation, these facilities will be included into the architectural complex, increasing its expressivity and importance. But the scope of reconstruction is not limited to that. The newly developed master plan of the district, aiming at efficient integration of modern and historical parts of Rioni embankment, covers a much larger area. The territory will be broken down into different functional zones. Gabashvili Culture and Recreation Park will include youth and sport and leisure zones as well as a cultural center. The project also implies rehabilitation of architecturally valuable public constructions, located in the vicinity of the main site.

David Tsutskiridze (Studio "M Kvadrati") continues his work on the project with the assistance of several other architectural and construction companies. At the time being, its implementation is quite probable. Naturally, the project will be revised considering on the alternation of architectural volumes and construction aspects, but in the long run it will immediately contribute to rehabilitation of the area and regeneration of the historical urban background of the city.






WWW.DIO.GE
0194 თბილისი, საბურთალოს ქ. 55
ტელ: 361112; 362199, ფაქსი: 366899
e-mail: info@dio.ge
იცხოვრეთ ლამაზად და მშვიდად!
სარეკლამო გვერდი

# ვაზიონი

## ვაზისა და ღვინის მუზეუმი წინანდალში

ავტორი: დიზაინერი დავით მეტონიძე

დიზაინერ დავით მეტონიძის მიერ წინანდალში განხორციელებული ობიექტის - ვაზისა და ღვინის მუზეუმის - „ვაზიონის“ (მეღვინეების კომპანია „შუმი“) სკულპტურულობა და ფორმათა სიმბოლიკა ავტორის შემოქმედებით კონცეპციას დაკონკრეტებისა და განმარტების გარეშე წარმოაჩენს. ავტორისეული ინტერპრეტაციით გარდაიქმნება არსებული გარემო თუ მის ირგვლივ არსებული მოცულობები. პროცესი დაწყებულია - უკვე შექმნილი კი მოულოდნელობებით აღსავსე პერსპექტივებს განაპირობებს.

მუზეუმის მოცულობითი კომპოზიცია მასისა და სივრცის ურთიერთობით ხასიათდება. ფორმაწარმომქმნელ საწყისს სკულპტურული, თვითმყოფადი ცოცხალი მასა წარმოადგენს. სივრცე კი კომპოზიციურად ექვემდებარება მას. დიზაინერი უმთავრეს ადგილს ფორმების პლასტიკურ სახესხვაობას, ადამიანისათვის განსაზღვრულ, ემოციურად დატვირთულ გარემოს შექმნას უთმობს ადგილს. ერთიანი მოცულობისა და შიდა სივრცის ურთიერთქმედების სპეციფიკის ღრმა წვდომა კომპოზიციური პალიტრის სიმდიდრის გახსნისა და გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ინტერიერში თანამედროვე თუ ტრადიციული არქიტექტურული დეკორის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ერთიანი სივრცის განსაკუთრებული ატმოსფერო სასიამოვნო ურთიერთობებისათვის განგვაწყობს. დიზაინის სახე დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიური გადაწყვეტებით არქიტექტურული რითმებით იქმნება. გამოყენებულ დეკორზე არ ბატონობს წუთიერი ეფექტები, ელეგანტურობა ნატიფ ნიუანსებშია განსხეულებული. თითოეულ ფრაგმენტში ახლის, თანამედროვეობის სულიერება შეიგრძნობა და ვისაც შესწევს უნარი შეიგრძნოს მასში ასახული ტრადიციები - ეძლევა შანსი დატკბეს არქიტექტონიკული ექსპოზიციით.

ნინო ლაღიძე















# Vazioni

Sculptural quality and symbolism of forms, distinguishing Viticulture and Wine Museum Vazioni (Winemaking Company Shumi), created by designer David Metonidze, stand as a sufficient explanation to the author's creative conception. The existing surroundings and architectural volumes get caught into the play of author's imagination to result in a unique background setting for the museum.

Volumetric composition of the museum is based on peculiar interaction of mass and volume. The designer concentrates his attention on plastic diversity of forms and interrelation of outer mass and interior spaces as key tools in forming an environment with optimal emotional coloring. Interior design represents a combination of modern and traditional architectural decor motives, defying momentary effects and forming an atmosphere of refined elegance.

NINO LAGHIDZE





# ელჩის რეზიდენცია

## ინტერვიუ ბრიტანეთის ელჩთან საქართველოში, ბატონ, დენის კიფთან



ჩვენი საზოგადოება მეტად დაინტერესებულია ქვეყანაში მოღვაწე უცხოელი დიპლომატების საქმიანობით. ძალიან დაგვავალებდით, ორიოდე სიტყვით თუ მოგვითხრობთ თქვენს მუშაობაზე და ცხოვრებისეულ ინტერესებზე.

**- როგორ მოხდა საქართველოში ბრიტანეთის ელჩად თქვენი დანიშვნა?**

- უკვე 25 წელიწადია რაც დიპლომატიურ საქმიანობაში ვარ ჩაბმული; ყოველთვის მინდოდა ელჩის მოვალეობათა შესრულება საინტერესო ქვეყანაში, სადაც პოსტ-კომუნისტურ რეალიებთან მუშაობის ჩემეული გამოცდილება გამოსადეგი იქნებოდა. ძალიან გამიმართლა თბილისში რომ დამნიშნეს ელჩად. საქართველომ ბევრს მიაღწია ბოლო წლების მანძილზე. ჩემთვის დიდი პრივილეგიაა საქართველოში დემოკრატიული წყობის ჩამოყალიბებისა და ევროპასთან კონტაქტების გამყარების ხელშეწყობა.

**- როგორი სახლი გაქვთ ინგლისში?**

- ესაა კლასიკური ვიქტორიანული სტილის 4-სართულიანი აგურის შენობა, რომელიც 1852 წელს აშენდა და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში გადაკეთდა. იგი იდეალური საცხოვრებელია ჩვენი დიდი ოჯახისთვის.

**- ოდესმე დიზაინერი ან არქიტექტორი ხომ არ მოგიწვევიათ სახლის გეგმარების, დიზაინის შესაცვლელად?**

- 5 წლის წინ მოვიწვიეთ არქიტექტორი პირველი სართულის გადასაკეთებლად, რადგან უფრო მოხერხებული სივრცე გვესაჭიროებოდა. თავიდან ეს სართული სხვადასხვა დანიშნულების პატარ-პატარა ოთხებისგან შედგებოდა, ახლა კი აქ განთავსებულია დიდი სამზარეულო, სასადილო ოთახი და ბიბლიოთეკა, სადაც ბავშვებს კომპიუტერზე მუშაობაც შეუძლიათ.

**- რომელი არქიტექტურული სტილი მიგაჩნიათ თქვენთვის ყველაზე მისაღები (კლასიკური, ტრადიციული თუ თანამედროვე)?**

- ტრადიციული დიზაინის მომხრეები ვართ – ვიქტორიანულ სახლში ცხოვრება ამიტომაც მოგვწონს. აღფრთოვანებული ვართ თბილისში შემორჩენილი არტ-ნუვოს სტილის ნაგებობებით.



DRAWING ROOM.
THE TOP PAINTING IS "BLUE ANCHOR BAY" (BARBADOS) AND THE LOWER IS
A VIEW IN SPAIN - BOTH BY PETER HACKETT, AND ARE OURS.

სასტუმრო ოთახი.
ზედა სურათია „ბლუ ანქორ ბეი“ (ბარბადოსი), ქვედა კი - ესპანური პეიზაჟი - ორივეს ავტორია პიტერ ჰეკეტი. ეს სურათები ჩვენ გვეკუთვნის.





DRAWING ROOM. "RAIN" BY PETER HACKETT - MY FAVOURITE. THE PHOTO IS OUR ELDEST SON EDWARD - HE IS NOW 20. HE MADE THE TWO LITTLE SILVER BOWLS ON THE TABLE. THE CUP BEHIND THEM IS BY THE DANISH ART NOUVEAU SILVERSMITH GEORG JENSEN.

სასტუმრო ოთახი. პიტერ ჰეკეტის „წვიმა“ - ჩემი საყვარელი სურათი. ფოტოზე ჩანს ჩვენი უფროსი ვაჟი ედვარდი - იგი ახლა 20 წლისაა. ორი პატარა ვერცხლის ფიალა, რომელიც მაგიდაზე დგას, მისი გაკეთებულია. მათ უკან მდებარე თასის ავტორი კი არტ-ნუვოს მიმდევარი დანიელი ოქრომჭედელი გეორგ იანსენი გახლავთ.

"GREEN BOTTLE", BY PETER HACKETT. THIS IS THE FIRST PICTURE OF HIS THAT WE BOUGHT, AND WE ALWAYS HANG IT IN OUR DINING ROOM.

პიტერ ჰეკეტის „მწვანე ბოთლი“. ეს პიტერ ჰეკეტის პირველი ტილოა, რომელიც ჩვენ შევიძინეთ. ყოველთვის სასადილო ოთახში ვკიდებთ.

**- საქართველოში ჩამოსვლისას, ახალ გარემოს როგორ შეეგუეთ? როგორ მოახერხეთ თქვენი ოჯახისა და თქვენთვის რეზიდენციაში კომფორტის, სიმყუდროვის შექმნა?**

- საქართველოში ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ თავს. ჩემს მეუღლეს, ქეითს, ნამდვილი ნიჭი აქვს ახალი გარემოს "მოშინაურებაში". ძალიან გაგვიმართლა, საქართველოში ჩამოსვლისას შვილების ჩამოყვანა რომ მოვახერხეთ – ახლა ისინი კვლავ ბრიტანეთში დაბრუნდნენ სასწავლებლად – ზოგი სკოლაშია, ზოგიც უნივერსიტეტში, მაგრამ ძალიან კარგი იყო, თავიდან აქ, მთელი ოჯახი ერთად რომ ვცხოვრობდით.

**- ხელოვნების რომელი სფერო მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- ქეითს და მე სიმღერა მოგვწონს. სამშობლოში ვმღერით ხოლმე გუნდში, რომელიც ასრულებს მე-16-მე-20-ე საუკუნეების ინგლისურ საეკლესიო მუსიკას და რეგულარულად გამოდის ქვეყნის ამა თუ იმ მხარეში არსებულ ტაძრებში (ვებ გვერდი http://www.orianasingers.co.uk). რაც შეეხება საქართველოს, ახლახანს შევუერთდით ქართველებისა და აქ მცხოვრები უცხოელებისგან შემდგარ გუნდს, რომელიც უნიკალურ ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერის.

GARDEN.
IS A PICTURE OF THE
"HOLE IN THE WALL".

ბაღი.
„მწვანე კედლის“ სურათი











**- ხელოვნების ნიმუშების კოლექციონირება თუ მოგწონთ?**

- დიახ. ჩვენ ყოველთვის ვაგროვებთ სუვენირებს იმ ქვეყნებში, სადაც გვიწევს ცხოვრება; ახლაც, ვეძებთ თვითმყოფად ნივთებს, რაც მოგვაგონებს საქართველოს, როცა სამი წლის შემდეგ სახლში დავბრუნდებით.

ინგლისიდან სურათების ერთგვარი კოლექცია წამოვიღეთ თან. იგი მოიცავს ჩეხი მხატვრის იოშკა სკალნიკის სურათებს – სხვათა შორის, სწორედ მან შექმნა ჩეხეთის რესპუბლიკის გერბი კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდგომ. ამას გარდა, ჩამოტანილი გვაქვს ინგლისელი მხატვრის, პიტერ ჰეკეტის სურათები, რომლებსაც ბოლო 15 წლის მანძილზე ვაგროვებდით. ისინი განლაგებულია ჩვენი რეზიდენციის სასადილო და სასტუმრო ოთახების კედლებზე, ბრიტანეთის მთავრობის სახვითი ხელოვნების კოლექციის სხვა ნიმუშებთან ერთად. მოხარული ვარ, რომ ჩვენი სახლი ასე შეეფერება ელჩის რეზიდენციის მოთხოვნებს.

ვიმედოვნებ, რომ მომავალში უფრო მეტი ხელოვნების ნიმუშის წარდგენა შემეძლება ჩემი სტუმრებისთვის. მომავალ წელს საელჩო გეგმავს ახალგაზრდა მხატვრებისთვის გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი კონკურსის ორგანიზებას. ეს კონკურსი სახელწოდებით "მწვანე კედელი", რომელიც 2008 წლის იანვარში უნდა ჩატარდეს, წარმოადგენს საელჩოს გარემოს დაცვითი სტრატეგიის ნაწილს, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად, მოიცავს საქმიან და საცხოვრებელ ნაგებობებში ნახშირბადის წარმოქმნის შემცირების მცდელობას. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გათვალისწინებული იქნება თბილისში საელჩოსა და ელჩის რეზიდენციის ახალი შენობების შექმნისას, რომლებიც მომავალი 2 წლის განმავლობაში აშენდება.

**- ჟურნალ „სტილის" სახელით, მსურს ურღმესი მადლობა მოგახსენოთ, გისურვოთ ჯანმრთელობა და წარმატება თქვენს პროფესიულ საქმიანობაში.**

- გმადლობთ.

ესაუბრა ნინო ლაღიძე




THE PICTURES YOU CAN SEE ARE BY SYLVIA LAURA GOSSE, AND BELONG TO THE GOVERNMENT ART COLLECTION. THE CHINESE SCROLL SHOWS LAO TZE ON HIS OX (I BOUGHT IT IN TAIWAN - IT IS A REPRODUCTION)

სურათები, რომლებიც აქ ჩანს, სილვია ლორა გოსის დახატულია და ხელოვნების ნიმუშთა სამთავრობო კოლექციას მიეკუთვნება. ჩინურ გრაგნილზე ასახულია ხარზე ამხედრებული ლაო ძი (ეს რეპროდუქციაა; ტაივანში შევიძინე)

# Ambassador's Residence

## INTERVIEW WITH BRITISH AMBASSADOR TO GEORGIA MR. DENIS KEEFE

*Our society is very much interested in the activities of the foreign diplomats working in our country. We would appreciate if you could tell us briefly about your profession and hobby.*



DINING ROOM.
THE BIG PICTURE BELONGS TO THE GOVERNMENT ART COLLECTION - A LANDSCAPE IN ENGLAND. THE TWO SMALL ONES ARE A PHOTO OF THE 1989 VELVET REVOLUTION IN PRAGUE AND A PAINTING OF ST VACLAV.

სასადილო ოთახი.
დიდი სურათი ინგლისური პეიზაჟით სამთავრობო კოლექციის ნაწილია. პატარა სურათებიდან, ერთ-ერთი 1989 წლის პრაღის ხავერდოვანი რევოლუციის ამსახველი ფოტოა, ხოლო მეორე - წმ. ვაცლავის სურათი.

**- How it happened that you were appointed British Ambassador to Georgia?**

- I have been a diplomat for 25 years, and was looking for a post as Ambassador in an interesting country where my experience of dealing with the aftermath of communism would be relevant. I was very fortunate to be appointed Ambassador in Tbilisi. Georgia has achieved a great deal in the last few years. Working with people to build up Georgia's democracy further and develop its links with Europe is a great privilege.

**- Could you describe your house in the UK.**

- It is a brick-built, four-storey house of classic Victorian design, built in 1852 and remodelled about 1900. It is ideal for our large family.

**- Have you ever invited a designer or an architect to plan and decorate your house?**

- 5 years ago an architect remodelled the ground floor of our house to give us more flexible space. Originally this floor had many small rooms for different domestic functions, but now it gives us a large kitchen, a dining room and a library area where the children can also use computers.

**- Which architectural style is more acceptable for you (classic, traditional or modern)?**

- We like traditional design - that is why we are happy to live in a Victorian house. We are fascinated by the surviving examples of Art Nouveau buildings in Tbilisi.

**- How have you adapted to the new environment in Georgia: how did you manage to create comfort, cosiness for your family and yourself at your residence?**

- We are very comfortable in Georgia. My wife, Kate, has a great deal of experience of settling in to new environments. We were very lucky to be able to bring all our children with us when we arrived in Georgia. They are now back in Britain, at school and university, but being here together as a family at the beginning gave us a very good start.

**- What is your favorite sphere of art?**

- Kate and I enjoy singing. In England we sing with a choir (www.orianasingers.co.uk <http://www.orianasingers.co.uk>) that specialises in English Church Music from the 16th to 20th Centuries, singing regularly in Cathedrals all over the country. In Georgia, we have recently started to sing with a choir of Georgians and expatriates, exploring the unique style of Georgian singing.



THE PRINTS SHOW LONDON IN THE 17TH CENTURY. THE PANDURI WAS A PRESENT FROM A FRIEND. THE SILVER CANDLESTICKS, JUG AND BOWL ARE ENGLISH, EARLY 20TH CENTURY. THE LITTLE PICTURE IS A CZECH PAINTING OF A PHOENIX, GIVEN TO ME BY MEMBERS OF CHARTER 77. IT IS SIGNED ON THE BACK BY MANY CZECH DISSIDENTS, INCLUDING VACLAV HAVEL.

გრავიურებზე ასახულია მე-17 საუკუნის ლონდონის ხედები. ფანდური მეგობარმა გვაჩუქა. ვერცხლის შანდლები, დოქი და თასი ინგლისურია და მე-20 საუკუნის დასაწყისშია დამზადებული. პატარა სურათი ფენიქსის გამოსახულებით მაჩუქეს „ქარტია 77"-ს წევრებმა; უკანა მხარეს მას რამდენიმე ჩეხი დისიდენტის, მათ შორის ვაცლავ ჰაველის ხელმოწერა ამშვენებს.





THE MAIN STAIRCASE.
მთავარი კიბე



**- Do you like collecting objects of art?**

- Yes, we do. We like to collect souvenirs of the countries we live in, and we are looking out for something characteristic to take back with us when we leave Georgia in 3 years time.

We have brought a number of pictures with us from England. These include works by the Czech artist Joska Skalnik, who among other things designed the new Czech Republic Coat of Arms after the fall of communism. We have also brought paintings by the English artist Peter Hackett which we have acquired over the last 15 years. These are on display in the dining-room and drawing room of our Residence, together with other paintings that belong the British Government Art Collection. We are very lucky to have a house which is ideal as an Ambassador's Residence. I hope to display more works of art in the future. Next year, the Embassy is planning a competition for young artists on the theme of the Environment.

Successful entries will be displayed in the Residence garden. We will be launching this competition, under the title "Hole in the Wall", in January 2008. This will be part of the Embassy's environmental "green strategy", as part of which we are working to reduce the carbon footprint of our office and residential accommodation. This is particularly important in designing the new Embassy and Residence which we will be building in Tbilisi over the next two years.

**- I would like to thank you very much on behalf of the journal Style. We wish you health and every success in your future career.**

- Thank you.

INTERVIEWED BY NINO LAGHIDZE

ENTRANCE
შესასვლელი







BIG BASEMENT ROOM WE USE FOR LARGE RECEPTIONS

დიდი ოთახი მიწისქვეშა სართულზე
- მას ხალხმრავალი მიღებებისთვის ვიყენებთ ხოლმე



# სივრცის ორიენტირი

## „ბანკი რესპუბლიკის“ სათაო ოფისის შენობა თბილისში

ავტორები: არქიტექტორები - თეიმურაზ დიასამიძე (ექსტერიერი), დავით ბახტაძე (ინტერიერი).

თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში მნიშვნელოვანი ობიექტი - „ბანკი რესპუბლიკის“ სათაო ოფისის შენობა აღიმართა. პროექტის ღირსება – მისი სივრცის გარემოსთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს. ნაგებობა კომპაქტურია – არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფები ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული. მისი არქიტექტურა ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა და ერთ მთლიანობაში აღიქმება. სხვადასხვა გეომეტრიული, მობილური ფორმების შერწყმით, შენობის მოცულობა დინამიურია. იგი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას ვიზუალური სიმსუბუქითა და სილუეტის გრაფიკული სიზუსტით. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ შემოქმედებითად გააზრებულ მოცულობაში არქიტექტურული დეტალების კოლორიტი ყოველ ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ ჭრილშია გადათამაშებული და მიკროსამყაროს სიმბოლურ ველს ქმნის.. შენობის ექსტერიერის ავტორია არქიტექტორი თეიმურაზ დიასამიძე. ოფისის ინტერიერები კი არქიტექტორ დავით ბახტაძის პროექტით განხორციელდა.

ინტერიერის ატმოსფერო უხვად შემინული სიბრტყეებიდან შემოჭრილი სინათლითა და ჰაერითაა სავსე და თავისუფალია. შემინული სიბრტყეები ზრდის საცხოვრებლის საზღვრებს და მათი მცდელობა მოაქციონ იგი ხისტ, თუნდაც გამჭვირვალე ჩარჩოებში –ამაოა. დიდი მასების კონსტრუქციულ სიმსუბუქეს დიზაინის ელემენტებიც იმეორებენ. ინტერიერში ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფრაგმენტების დეკორატიული კომპოზიციები,





















სხვადასხვა აქსესუარების ფორმა, ფერი და ა.შ. გამჭვირვალებას და სიმსუბუქეს, ორიგინალური კოლორისტული გადაწყვეტა უდევს საფუძვლად. მთლიანი პალიტრა ოპტიმალურ ფონს უქმნის ნებისმიერ საგანს, გამოკვეთს მის მოცულობას. ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ინტერიერში ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სკულპტურული ხასიათის მატარებელია. გამოყენებულ მასალათა ფაქტურების ზედაპირებზე სინათლის ათინათი ინტერიერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. საერთო გამჭვირვალებაში შეჭრილი ხაზები და პარალელები, დინამიკური სიმრუდეები მაორიენტირებელ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან. დიზაინერული მელოდია, მისი რითმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული.

შენობის მგრძნობიარე მემბრანად გარდაქმნილი გარსი, შიდა და გარე სამყაროს, ერთიმეორის მონაცვლეობით აღიქვამს. მასში მთლიანი სივრცის თავისუფლების მზარდი ხარისხის გამოყენებით კომფორტული და მშვიდი საქმიანი გარემო იქმნება.

ნინო ლაღიძე

# A Landmark

An important construction – office of Bank Republic, was recently built in one of the fashionable districts of Tbilisi. A strong point of the project is interaction of its interior with the existing environment. Major architectonic groups of this compact construction are conveniently linked with each other. The unusual architectural composition is based on dynamic integration of diverse geometrical forms. Exterior of the bank office, catching the eye with its visual lightness and graphical precision, was designed by architect Teimuraz Diasamidze, while the interiors were created by architect David Bakhtadze.

Glazed surfaces give ample access to the sunlight and visually expand the interior, failing to delimit its borders and creating an illusion of lightness and freedom. Constructional weightlessness of large masses is reiterated by design elements. The most noticeable elements of the interior are decorative compositions of architectural fragments, shapes of various accessories, the illusion of lightness and transparency, based on original coloring solution, etc. The general palette forms an optimal background for any article, accentuating its volume. This is especially important, because every element of the interior occupies its own place, where its sculptural quality is advantageously highlighted. Interplay of sunlight on the reflective surfaces accentuates the graphical conception of the interior; lines, parallels and dynamic curves, interrupting the general transparency, form orientating shapes and silhouettes.

Hull of the building, reflecting in turns the inside of the bank and its surroundings as a sensitive membrane, makes the interior still more comfortable and enhances its interaction with the outer world.

NINO LAGHIDZE

# სტილური გარემო

## კომპანია „ივერმედის“ ახალი სათაო ოფისი

ავტორი: არქიტექტორი დავით ცუცქირიძე



მაქსიმალურად ეფექტურად წარმოჩენილი შედეგი ყოველთვის ორიგინალურობით გამოირჩევა და ფუნქციონალურად და ესთეტიკურად შეესაბამება კონკრეტულ მოთხოვნებს. არქიტექტორ დავით ცუცქირიძის მიერ შექმნილი, ამჟერად წარმოდგენილი კომპანია „ივერმედის“ ახალი სათაო ოფისის არქიტექტონიკა პლასტიკურად ვითარდება. ყოველი ამოცანა კომპოზიციური ხერხითაა გადაწყვეტილი და კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით მოცულობის სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. არაორდინალური არქიტექტურული ნიუანსებით შექმნილ ექსტერიერს, ცალკეული, განსაკუთრებული ხიბლის მატარებელ მონაკვეთთა ერთობლიობა ქმნის.

ინტერიერის თავისებურება - დეტალებამდე გათვლილი სივრცის ფუნქციური ორგანიზებაა. ამგვარად წარმოქმნილი ერთიანი საზოგადოებრივი ზონა აფართოებს „მანევრირების სივრცეს“ და მოცემულ ფართობზე ფუნქციათა მაქსიმუმის კონცენტრირება ხდება შესაძლებელი.

ავტორის ძალისხმევით, აღქმადი ლაკონიზმით შენილბული ზუსტად გათვლილი გადაწყვეტების ფონზე, მისი დატვირთვის სპეციფიკის შესაბამისი, სტილური გარემო შეიქმნა.

ნინო ლალიძე



# Stylish Environment

New head office of Ivermedi Company, designed by architect David Tsutskiridze, surprises with its flexible architectonics.

The author used an original system of compositional tools to diversify structure of the building and highlight originality of the exterior.

Interior of the office is based on detailed functional planning of the space. The resulting integral public zone is highly mobile and capable of housing numerous functions on a relatively small area.

Well-calculated design solutions, masked by easy-going laconism, enabled the author to create a stylish environment, precisely conforming to office purposes.

NINO LAGHIDZE















ინტერიერი

INTERIOR

# მუდმივმოქმედი პრეზენტაცია

**ამჯერად წარმოგიდგენთ ახლახანს განხორციელებულ ნამუშევარს, კომპანია "რადიო საქართველოს" ინტერიერებს. მის მოცულობაში რეალიზებულია რადიო "ფორტუნას", რადიო "ფორტუნა+"-ს, რადიო "არ დაიდარდო" და კომპანიის სხვა საზოგადოებრივ უწყებათა სივრცეები.**

ავტორი: დიზაინერი ალექსანდრე ზერცალოვი

ფუნქციურად ორგანიზებული ულამაზესი დიზაინის მრავალფეროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი, გასაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალური სივრცეები, ყოველ მოცემულ შემთხვევაში









ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

ინტერიერს პრაქტიკულად ვიზუალურად ზრდის ავტორის მიერ შერჩეული დიზაინი, რომელიც დამკვეთის მოთხოვნების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. მშვიდ და რესპექტაბელურ გარემოში, სადაც დეტალების სიჭარბით ქაოსი არ იქმნება, ყოველი ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ინტერიერში სივრცე ერთ მთლიანობად აღიქმება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ თანამედროვე კლასიკური ფორმები და დახვეწილი ფერითი გამა დომინირებს. ზუსტად შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა, ლამაზი ტექსტურა და თბილი ტონალობა, ხისგან დამზადებული ავეჯი ინტერიერის წარმომადგენლობითობას არბილებს. მთავარია კი ის არის, რომ აქ, ინტერიერთა „მუდმივმოქმედ პრეზენტაციაზე“, თითქმის ყოველთვის რთული დიალოგი დიზაინის ავტორსა და დამკვეთს შორის წარმატებით შედგა.

ნინო ლაღიძე







# Round-the-clock Presentation

In this article, we would like to describe one of the recent works of designer Alexander Zertsalov – interiors of Radio Sakartvelo office, incorporating the studios of Radio “Fortuna”, Radio “Fortuna +”, “Ar Daidardo” and other broadcasting means, belonging to the company.

Diversity of the refined design motives and perfect forms is credibly integrated into an all-encompassing organism. Lighting, coloring, accessories, proportions, moving graphics – combination of these factors makes the unordinary interiors of Radio Sakartvelo much more viable than an array of hi-tech novelties would.

The design has been created by the author in accordance with the client’s requests. Minimal quantity of decorative articles in the comfortable, quiet and orderly environment adds special importance to every element. Imposing and somewhat formal atmosphere of the space is softened by classical forms and refined coloring, skillfully matched upholstery and texture. And the main achievement of the project is that the ongoing presentation of Radio Sakartvelo office interiors manifests the success of the designer’s dialogue with the client.

NINO LAGHIDZE







# „100% დიზაინი“



„100% დიზაინს“ 13-წლიანი ტრადიცია მოსდგამს. ჩელსიში, კინგს როუდზე ტენტში გამართული პატარა, მაგრამ კარგად ორგანიზებული შოუდან, „100% დიზაინი“ ინგლისის არქიტექტურულ-დიზაინერული წრეების უმნიშვნელოვანეს ყოველწლიურ მოვლენად გადაიქცა. „100% დიზაინი“ ფლობს ოფისებს ლონდონში, ნიუ-იორკში, ოსტინში, სან-ფრანცისკოსა და ბერლინში; ეს კომპლექსური ბრენდია, რომელიც მოიცავს დიზაინერული მომსახურეობის მთელ სპექტრს გრაფიკის, სტილის, არქიტექტურის, ინტერიერების და დიზაინერული მასალების ჩათვლით. 2007 წელს ყოველივე ამას დაემატა „100% მომავალი“ - დამწყებ დიზაინერთა გამოფენა-კონკურსი. უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსში მონაწილეობის უფლებას არქიტექტორები და დიზაინერები, მხოლოდ განსაკუთრებული კასტინგის შემგომ იღებენ.

წელს, ამ საერთაშორისო გამოფენა-კონკურსში, პირველად მიიღეს მონაწილეობა ქართველებმა, კერძოდ დიზაინერულმა კომპანიამ „რუმსი“ - ახალგაზრდა დიზაინერების ქეთი თოლორაიას და ნატო ჯანბერიძის შემადგენლობით, „100% დიზაინი“-ის საერთაშორისო კასტინგის გავლის შემდგომ, მათ შესაძლებლობა მიეცათ, 2007 წლის 21-23 სექტემბერს, თავისი პროექტი წარედგინათ ლონდონში, დამწყებ დიზაინერთა გამოფენა-კონკურსზე - „100% მომავალი“.



## პროექტი „ვითამაშოთ სახლობანა“

დიზაინერული კომპანია „რუმსი“ 2003 წელს დაარსდა საქართველოში.

კომპანიის დევიზი „წარმოსახვის წყაროდ ნებისმიერი გარემომცველი ნივთი შეიძლება აქციო“ ყოველ ნაბიჯზე ხორციელდება და სამუშაო პროცესი ხშირად ამაღელვებელ თამაშად იქცევა...

„რუმსის“ გამორჩეული თვისებებია ინოვაციური მიდგომა, პირდაპირი ხედვა და იუმორის შესანიშნავი გრძნობა. „რუმსი“ კლიშეებით არ ხელმძღვანელობს; მათი ნამუშევრები ინტელექტის, სხვადასხვა ეპოქის სტილებისა და კულტურული მემკვიდრეობის ნაზავია, რომელიც, არაორდინალური დეტალების მიუხედავად, ჰარმონიული და თაავისთავადია.

კომპანია ყოველთვის ითვალისწინებს მენტალობის თავისებურებებს – მართალია, დიზაინერები ადვილად იღებენ გაბედულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ კლიენტის ფაქტორი ყოველთვის ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას მათ ნამუშევრებში. ხშირად, შემოქმედებითი იდეების განხორციელებას უბრალოდ შესაფერისი მასალის არარსებობა უშლის ხელს. აქედან გამომდინარე, „რუმსი“ იმედოვნებს, რომ საერთაშორისო ბაზარზე გასვლა დაეხმარება მათ შემდგომ განვითარებაში.

„100% დიზაინის“ ახალი კომპონენტი – „100% მომავალი“ – ამაღელვებელი კონკურსია, რომელიც განკუთვნილია მსოფლიოს უნიჭიერესი დამწყები დიზაინერებისთვის. წელს ამ კონკურსის ფარგლებში თავისი ნამუშევრები და კონცეპციები წარმოადგინა სპეციალისტების კომისიის მიერ საგანგებოდ შერჩეულმა 50-მდე დამწყებმა დიზაინერმა და მეტად სასიხარულო და საამაყოა, რომ დიზაინერული კომპანია „რუმსი“, მის მიერ წარმოდგენილი ექსპოზიციით, ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონკურსის ნომინაციის, „მომავალი თაობის ხუთეული“ - ერთ-ერთ საუკეთესო ნომინანტად იქნა აღიარებული.

ექსპოზიციას ქმნიდნენ უჩვეულო ამპლუაში წარმოდგენილი ჩვეულებრივი კომპონენტები, მეტად საინტერესო ავტორისეული კომენტარებით:

## „ჩაცმული სკამები“

სითბოსა და კომფორტის მუდმივი შეგრძნება... მაგრამ ერთხელაც რომ კოსტუმის პატრონი მოვიდეს?

## ხელნაკეთი „შპალერი-მოჩვენება“

ყველა ბავშვს უჩნდება კედლებზე ხატვის სურვილი – ბავშვებისგან განსხვავებით, „რუმსს“ ამის კეთებას არავინ უკრძალავს.

## ტელევიზორის მაგიდა

პოსტსაბჭოური დიზაინის მოტივებზე შექმნილი ეს მაგიდა ასახავს ბავშვურ სურვილს შევიტყოთ, ტელევიზორის ეკრანის უკან რაა დამალული.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო ექსპერტების შეფასებები გამოფენა-კონკურსის „100% დიზაინის“ ლონდონური კატალოგებიდან:









## „რკინის ფარდას მიღმა“

- „რუმს“ (საოცრად მრავალფეროვანი შპალერის და ფურნიტურის მწარმოებელი დამწყები ქართული კომპანია) ექსპონატების შესახებ: ავტორისეული იდეებისთვის ყველაზე შესაფერისი ეპითეტებია „გამორჩეული“ და „იშვიათი“. გამოფენაზე წარმოდგენილია „რუმსის“ „ჩაცმული სკამი“, რომელიც სითბოს და კომფორტის შეგრძნებას ტოვებს; მაგიდა ბრტყელეკრანიანი ტელევიზორისთვის – საბჭოური მოტივების მახვილგონივრული გადათამაშება; ულამაზესი შპალერის ნიმუშები...

ვინ იფიქრებდა?

- „სულ რაღაც 10 წლის წინ შპალერი როგორც დიზაინის ხერხი ღრმად იყო მივიწყებული, ახლა კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება წააწყდე შპალერის დიზაინის ნიმუშების სქელტანიან გამოცემებს. 2007 წელს შპალერი კვლავ პოპულარობის პიკზეა. თუმცა დიზაინერთა უმრავლესობა ბუნების მოტივებზე ამახვილებს ყურადღებას, იქმნება განსხვავებული ნიმუშებიც, როგორიცაა, მაგალითად, ქართული დიზაინერული კომპანია “რუმსის” მიერ შექმნილი გასაოცარი “შპალერი-მოჩვენება”...

ვულოცავთ ახალგაზრდებს ამ სერიოზულ გამარჯვებას და კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ შემოქმედებით გზაზე.

ნინო ლალიძე

# 100% Design

Since its launch thirteen years ago, 100% Design has evolved from a small but perfectly formed experimental show in a tent on the King's Road, Chelsea into the UK's largest event for the professional architecture and design audience. With offices in London, New York, Austin, San Francisco and Berlin Pentagram provides design services across the full spectrum of graphics, identity, architecture, interiors and products. In 2007, 100% Design introduced a new feature – competition 100% Future, participants which are specially chosen by experts.

This year, for the first in the experience of 100% Design, Georgian design company "Rooms", represented by young designers Keti Toloraia and Nata Janberidze, successfully passed the selection stage and took part in the exhibition of 100% Futures, arranged in London on September 21-27 2007.

## THE HOUSE GAME PROJECT

The design company "Rooms" was founded in Georgia in 2003.

The motto of the company "Inspiration can come from everything that's around" is applied to every pace and very frequently the work turns into exciting game.

Innovation, distinct vision and the most remarkable – great sense of humor are the noteworthy features of "Rooms". "Rooms" is not guided by rubber stamps; any product is always the result of intelligent efforts, merge of various epochs and cultures, which in spite of unusual details creates harmony and makes it poles apart the pack.

"Rooms" takes into consideration mental peculiarities and courageous decisions are taken with simplicity, but The Client is a certain segment. Frequently creative ideas are impossible to accomplish since the lack of matching materials. That is why coming out onto the international market will help the company to further develop its creativity.

The new component of 100% Design – 100% Future – is an exciting showcase of the very best upcoming talent, looking to step onto the first rung of the design ladder. Around 50 emerging designers and designer-makers exhibited diverse products and concepts at 100% Future this year, and we are proud that design company "Rooms" with its exposition was named among the best competition works, receiving its place in the list of Five Faces for the Future – nomination of this important international competition.

The "Rooms" exhibition comprised ordinary components of daily life, represented in unusual functions and accompanied with authors' comments:

## DRESSED CHAIRS

to keep the space around you always warm and cozy. Somebody will come to get the coat back.

Handmade wallpaper-ghost: every child wishes to draw on walls. In contrary with children, "Rooms" does it as it is not forbidden any more.

## TV TABLE

this post-Soviet design of the TV-table reflects our childhood wish to penetrate the TV screen.

Important are the comments of international experts, printed in catalogues of 100% Design London:

## CROSS THE IRON CURTAIN

Author: "Rooms" (Start-up company from Georgia, producing a striking range of wall coverings and furniture)

About the exhibits: It is only on rare occasions that you see something that really stands out. This company definitely falls into that category. Their dressed chairs do evoke the feeling of comfort and peace, the wall coverings are really inventive, and their Soviet-style TV cabinet for plasma screens is really witty.

Who would have thought it?

Just a decade ago, wallpaper was buried in the design graveyard. Now you cannot move without being ambushed by a sample book of sumptuous contemporary designs. 2007 sees wallpaper at peak popularity. While many patterns draw heavily on nature, the boudoir look also remains strong, including stunning Ghost wallpaper from Georgian designer/maker "Rooms", participating in 100% Futures.

We would like to congratulate the young designers on this important victory and wish them further success in their creative activities.



# პრივე




მაღაზია-სალონის "პრივე" ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზებაში, მთავარი მხატვრული პრინციპი მინიმალიზმი და სისადავე გახდა. მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი.

ავტორი: დიზაინერული კომპანია "რუმსი".

დიზაინერული კომპანია „რუმსის“ მიერ (დიზაინერები ქეთი თოლორაია, ნატო ჯანბერიძე) მიერ შექმნილი მაღაზია- სალონის „პრივე“ ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზებაში მთავარი მხატვრული პრინციპი მინიმალიზმი და სისადავე გახდა. მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული.

მისი მთავარი ნიშანია არსებობის ფილოსოფია - კომფორტულობა და სისადავე, რომლითაც თითოეული დეტალია გაჯერებული. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში არაორდინალურ ჩართვებს განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. ინტერიერის არქიტექტონიკა მარტივიცაა, რთულიც, ლამაზიც და „არქიტექტურული ჟანრის“ ყველა კანონის მიხედვით ვითარდება. სივრცის მთლიანობის შთაბეჭდილება კომპოზიციის დინამიზმით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მიხედვით, ნეიტრალური ფერის ლავირებით, მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტების რითმებითაა მიღწეული.

ინტერიერში, კიდევ ერთი, მისი „ვიზუალური მოძრაობის“ - ტრანსფორმიზმის იდეაა განხორციელებული, რასაც სპეცეფექტებისა და მოულოდნელი დიზაინერული გადაწყვეტების სისტემები ილუსტრირებს.

ნინო ლაღიძე














# Prive

In the interior of Prive shop, designed by Keti Toloraia and Nato Janberidze ( Design Company Rooms), key principles organizing and integrating the space is minimalism and simplicity. Main distinguishing feature of the design is the philosophy of existence – comfort and simplicity, saturating every part of the interior – an approach, justifying originality in modern stylistics.

Interior architectonics is both simple and complex, visually pleasant while conforming to all the requirements of modern architecture. The impression of integrity is achieved by dynamism of the composition, soft zone-to-zone transition of interior decoration, ingenious combination of black and white, rhythmical dsitribution of volume and space.

One more idea, realized in interior design is the conception of visual movement – transformism, reflected in special effects and unexpected design solution systems.

NINO LAGHIDZE









# ლე მარე

თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე, ფრანგული რესტორნის "ლე მარეს" ინტერიერი დიზაინერ მარიანა ქყონიას პროექტით განხორციელდა.

საერთო სივრცის გონივრულად დაცული ზონირებით, ჰორიზონტალში მინიმუმამდეა დასული კლიენტების გზების გადაკვეთა. შესვლისთანავე შეიგრძნობთ, რომ ინტერიერი ფერითი და სივრცითი გადაწყვეტით აქტიური და ლოკალურია, რაც მისი იერსახის განმსაზღვრელია. დიზაინში ავტორისათვის დამახასიათებელი მანერა, სტილი, თვალსაჩინო პირობითობა, მთლიანი სივრცის ორიგინალური კომპოზიცია ნათლად გამოიკვეთება. ინტერიერში თბილი ფერითი პალიტრა დომინირებს. მოცემული თემატიკა გულდასმითაა დამუშავებული და ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. მასში წამყვანი, დომინანტი ელემენტების განაწილება დიზაინერული ხერხებით ოსტატურადაა შესრულებული, რაც მეტად სასიამოვნო, მყუდრო ფრანგულ გარემოს ქმნის.

ნინო ლაღიძე












# Le mare

*Interior design of French restaurant Lemare, located in Abashidze Street, Tbilisi, has been created by designer Marianna Chkonia.*

Immediately upon entering the restaurant, you will perceive its dynamic individuality, accentuated by active and localized coloring and space solutions. The design represents a clear imprint of the author's style, distinctive conditionality and original composition of the space. Warm color palette of the interior and skillful distribution of dominant elements creates a very pleasant, comfortable, French atmosphere.

NINO LAGHIDZE



# ბელ დე ჟურ

ახლახანს, თბილისში აბაშიძის ქუჩაზე გაიხსნა ფრანგული რესტორანი "ბელ დე ჟურ".

ავტორები: ქეთა საჯანდელიძე და ჯაბა დიასამიძე









საზოგადოებრივი სივრცის თანამედროვე გარემო არასოდეს ყოფილა მხოლოდ კომფორტული ინტერიერი. იგი, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვის დამცველია და ისევე როგორც შემოქმედება, თავისი კანონებით ტრანსფორმირდება რეალობაში. „პროგრეს ჯგუფის“ ქსელის ფრანგული რესტორნის „ბელ დე ჟურ“-ის ინტერიერის დიზაინერების ქეთა საკანდელიძის და ჯაბა დიასამიძის პროექტით შეიქმნა. მისი დახვეწილი ფურნიტურითა და ლამაზი საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთები განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია. მშვენიერი, ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება, რადგან იგი მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიად გარდაქმნას მოითხოვს. დიზაინში დეტალები არაორდინალური გამოვლინებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. იგი ხილული თუ უხილავი ბარიერებით შექმნილ მსუბუქ ერთიანობას წარმოადგენს, სადაც საერთო ფერითი გამა დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის მკვეთრი ტონებითაა აქცენტირებული. ადვილი წარმოსადგენია, რა სასიამოვნოა ადამიანებისათვის აქ თავშეყრა, ურთიერთობა და საქმიანობა.

ნინო ლაღიძე



# Belle de Jour

Modern public interiors add a new dimension to the notion of comfort, transforming the reality into a piece of art, developing in accordance to its own laws. Interior of French restaurant Belle de Jour, belonging to Progress Group, was designed by Keta Sakandelidze and Jaba Diasamidze. The charming design of the restaurant, highlighted by refined furniture and decorative objects, is complex and unordinary. The space features unobtrusive integrity, where uniform background coloring is counterbalanced by contrasting tones of accessories and furniture, forming a pleasant environment for work and leisure.

NINO LAGHIDZE



















# პილიგრიმი

ახალგაზრდა დიზაინერების მაიკო ჯიმშელეიშვილის, მარიკა ქუთათელაძის, შალვა ქელბაქიანის მიერ განხორციელებული, ამჯერად წარმოდგენილი საზოგადოებრივი ინტერიერის - დეკორატიულ-გამოყენებითი ნაკეთობების სალონის, "პილიგრიმის" გარემო სასიამოვნო დისონანსის მქონე მოულოდნელობებზეა აგებული.

სივრცეში ულამაზესი ნივთების, ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე პოლარული თემებითაა აღსავსე. მის ორგანიზებაში მინიმალიზმი და ეკლექტიკა გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში „ისტორიულ ჩართვებს“ განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. სალონში საზოგადოებრივი ცხოვრების რამოდენიმე დომინანტი ნიუანსისადმია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, სხვადასხვა დეკორატიული ნაკეთობებით შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ ჭეშმარიტად თანამედროვე ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა წარსულის სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის ჭეშმარიტად თანამედროვე ჟღერადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

ნინო ლაღიძე



















# Pilgrim

Public space, realized by young designers Maiko Jimsheleishvili, Marika Kutateladze and Shalva Kelbakiani – interior of decorative objects' showroom Pilgrim – is based on unexpectedness. Distribution of beautiful articles and accessories in the interior is subjected to certain rules, by large defining its general atmosphere. Key artistic principles of the design, containing numerous opposing themes, are minimalism and eclectics with occasional "historical" interruptions. Looking at the decorative articles, exhibited in the salon, one understands that aesthetics of a modern interior, while being composed of modern forms and objects, should be counterbalanced by characteristic historical details and associations, highlighting the modern character of the space.

NINO LAGHIDZE





# სივრცის სწორად ორგანიზაცია



ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ყოველკვირეული გადაცემა "ბინა", ყოველი ჩვენთაგანისათვის ნაცნობი, წარმატებული პროექტია, ამიტომ არ შევუდგებით მისი სპეციფიკის თუ კონცეპციის განხილვას და წარმოგიდგენთ ამ პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას, მასში მონაწილე პირველ პროფესიონალს, კომპანია "არტX"- ს დიზაინერს ინა ბახტაძეს, რომლის იდეებით და პროექტებით რამდენიმე, ტიპიურ, თბილისურ საცხოვრებელში, წარმოუდგენლად მცირე დროში ულამაზესი ინტერიერული მონაკვეთები შეიქმნა.

სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, კონკრეტული სათავსოს საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული ტექსტილი და აქსესუარები ... უზადო დიზაინი, ხომ საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას გულისხმობს, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია დამკვეთის ინდივიდუალურობა და დიზაინერიც, თითოეულ მოცემულ შემთხვევაში, ყოველივეს, ოჯახის წევრთა მოთხოვნების, გემოვნების გათვალისწინებით წყვეტდა.

ინა ბახტაძის პროექტით განხორციელებული, წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერები თვითმყოფადია - დახვეწილი, ზომიერი დეკორით გამოირჩევა და აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკისაა. არაორდინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ინტერიერის ელეგანტურობა დახვეწილ დეკორში ვლინდება, შესაბამისად ავტორის პროფესიონალიზმი ყოველ ფრაგმენტში შეიგრძნობა.

ჟურნალისათვის მასალის მომზადებისას, შესაძლებლობა მოგვეცა, რეალობაში გვენახა ინას შემოქმედებითი ფრაგმენტები. მათი აღქმისას, ნათლად გამოიკვეთა, რომ ყოველ საცხოვრებელში, სხვადასხვა დანიშნულების (საძინებელი, საერთო ოთახი, გასართობი ოთახი) და დიზაინერული თვალსაზრისით თვითმყობადი, დამოუკიდებელი სათავსოები არსებულ საცხოვრებელ სივრცესთან თავისებურად, „ოჯახისეულადაა“ გათავისებული და არსებული მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს.

ნინო ლაღიძე







# Correct Spatial Solutions





As weekly TV show Bina (Apartment), organized by Rustavi-2 is a universally known successful project, we will abstain from explaining its specificity and concept and proceed directly to introducing one of the key representatives of this show – designer of ArtX Company Inna Bakhtadze, whose ideas and projects allowed to transform several typical Tbilisi apartments into beautiful interiors within a surprisingly short amount of time.

Correct spatial solutions, harmonized choice of colors and materials, skillful choice of lighting design and furniture, textile and accessories... Flawless design, which implies creation of integral interior style, carefully matching the personal requirements, lifestyle and taste of its future inhabitants.

Residential interiors designed by Inna Bakhtadze, which we feature here, stand out for their individuality, refined decoration and diverse stylistics, revealing the author's professionalism. Various zones of each interior, differing from each other by their purpose and design specifics (bedrooms, living rooms, guest rooms, etc.) are integrated into a general family space, saturated with comfort and peace.

NINO LAGHIDZE




















# მინანქრის გამონათება

**საფრანგეთი, ლომოჟი, „მინანქრის სახლი“. 2007 წლის 1- 27 ოქტომბერი**

წარმოდგენილი იყო სამი ქვეყანის - საფრანგეთის, ესპანეთის, საქართველოს ოსტატთა 150-ზე მეტი ნამუშევარი.

„მინანქრის სახლის“ დაარსების იდეა წარმოიშვა ოციოდე წლის წინ – სწორედ ამდენი დრო დაჭირდა პროექტის არსისა და მიზნის სრულყოფილი სახით მომწიფებას, მუშა გუნდის შეკვრას და წინაპირობების მომზადებას.

ეს ინიციატივა საფრანგეთში მინანქრის ოსტატების სწავლების ტრადიციის დაკარგვამ გამოიწვია: ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ მინანქრის ოსტატების ძველ თაობას მემკვიდრეები აღარ გააჩნდა – იხურებოდა სახელოსნოები, ცარიელდებოდა ადგილობრივი ბაზარი. 1999 წელს, ლიმოჟის მინანქრის ოსტატების პროფესიული გაერთიანების ინიციატივით, ამუშავდა წინამდებარე პროექტი, შედეგად 2001 წელს, დაარსდა ლიმოჟის მინანქრის პროფესიული ასოციაცია. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდა ხელოვანთათვის მინანქრის ტექნიკისა და დეკორატიული ხელოვნების





## Eclats d’Email

*Exhibition dates: October 1-27 2007*
*Participating countries: France, Spain (Barcelona School) and Georgia;*
*Quantity of exhibits: over 150 pieces of enamel.*

The idea of founding La Maison d’Email – Enamel House – originated about 20 years ago – this is how much time it took for the project idea and goals to mature, for the working group to get assembled and prepare the necessary preconditions.

This initiative was caused by the extinction of enamel traditions in France: one day it turned out that the old generation of enamel artisans did not have successors – the workshops closed down, products disappeared from the local enamel market. In 1999, enamel artists of Limoges initiated a preliminary project, as a result of which in 2001 Professional Association of Limoges Enamel Masters got established. The organization aims at teaching enamel techniques and other trends of decorative arts to young artists and supports them





თეა გურგენიძე
TEA GURGENIDZE





მონსტ აგუასა
MONSTE AGUASCA



დავით ჩხეიძე
DAVIS CHKHEIDZE





ჰუბერტ მარტიალი
HUBERT MARTIAL



ქრისტიან ქრისტელი
CRISTIAN CHRISTEL






რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების სწავლება და მათი მხარდაჭერა პროფესიული საქმიანობის საწყის ეტაპებზე.

დროთა განმავლობაში ლიმოჟის მინანქრის პროფესიულმა ასოციაციამ მოიპოვა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა; რის შედეგადაც მას საშუალება მიეცა შეექმნა „მინანქრის სახლი“ - ადგილი, სადაც ახალგაზრდა მინანქრის ოსტატებს ეძლევათ საშუალება იმუშაონ, ჩაატარონ ექსპერიმენტები, გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება, არაპროფესიონალებს და მოყვარულებს კი შეუძლიათ გაეცნონ მინანქრის ტექნიკის თავისებურებებს.

გამოფენა „მინანქრის გამონათება“ - ლიმოჟში პირველად გამართული ექსპოზიციაა, რომელსაც საქართველოს, ესპანეთის და საფრანგეთის წარმომადგენელთა ნამუშევრები ქმნიდა, სიმბოლურ ხასიათს ატარებდა:

მოგეხსენებათ, საქართველო მინანქრის ხელოვნების უძველესი კერაა, სადაც მინანქრის ტრადიცია ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში იღებს დასაბამს და დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ესპანეთი, კი ქალაქ ბარსელონაში არსებული სკოლით - ლოტჯა, მინანქრის ოსტატთა სწავლების და მინანქრის ტექნიკის სრულყოფილ ცენტრად ითვლება.

და ბოლოს, საფრანგეთი, უფრო ზუსტად კი, ქალაქი ლიმოჟი – მინანქრის ხელოვნების კიდევ ერთი ისტორიული კერაა, რომელიც დღესდღეობით ხელოვნების ამ დარგის აღორძინების გზაზე დგას.

საქართველოდან გამოფენაზე მიწვეული იყვნენ: მხატვრები: დავით ჩხეიძე, პაატა პაატაშვილი, ზაზა ლოდია, ნინო ბურკაძე, თეა გურგენიძე, ნინო სიმონია, სამხატვრო გალერეები: „შარდენი“ (მაია ნოზაძე, ია დვალი), „ორნამენტი“ (ხათუნა ბაბუნაშვილი, ნინო ჟღენტი).

აღსანიშნავია, რომ ლიმოჟის გამოფენის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ, საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვარი კაკო თოფურია.

ქართველი ოსტატების ნაკეთობებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაც სამომავლოდ, უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობის საინტერესო პერსპექტივებს განაპირობებს. ექსპოზიციის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ „მინანქრის გამონათება“ დასაბამს დაუდებს ექსპოზიციაზე წარმოდგენილ სამ ქვეყანას შორის გრძელვადიანი კავშირების ჩამოყალიბებას, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ტრადიციას.

at the first stage of their independent creative activities.

In the course of time, having ensured the support of local authorities, Professional Association of Limoges Enamel Masters was enabled to establish the Enamel House – a place where young enamel artisans can work, experiment, exchange their experience, and the amateurs have an opportunity to take an insider look at the various aspects of enamel production.

Exposition Eclats d'Email

This newly-launched exposition, uniting the works of Georgian, Spanish and French artists, was of symbolical nature:

Georgia is an ancient cradle of enamel art, where the tradition of enamel production dates back to the 8th century A.D. and retains its importance to date.

Spain, with Llotja School running in Barcelona, is considered as a high-level center of enamel art education.

France (represented by the city of Limoges) – another historical center of enamel production, which is now on the way of restoring this art.

At the exhibition, hosted by Limoges, Georgia was represented by artists David Chkheidze, Paata Paatashvili, Zaza Lodia, Nino Burkadze, Tea Gurgenidze, Nino Simonia, as well as art galleries Shardeni (Maia Nozadze and Ia Dvali) and Ornamenti (Khatuna Babunashvili and Nino Jgenti).

It should be noted that one of the initiators of Limoges exposition was Georgian artist Kako Topuria, currently working in France.

Exposition organizers hope that Eclats d'Email will foster formation of long-term relationships between the three participant countries and establish a tradition of experience-sharing and professional cooperation.



ნინო ბურკაძე
NINO BURKADZE



პაატა პაატაშვილი
PAATA PAATASHVILI



პიერ ქრისტელი
PIER CHRISTEL



მიშელ ჟილბერტი
MICHELE GILBERT



მარია-ტერეზა მასიასი
MARIE-THERESE MASIAS











# ლიმოჟი

ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა წარმოგიდგინოთ ლიმოჟის „მინანქრის სახლის“ ექსპოზიციის მონაწილის, ბატონ დავით ჩხეიძის მიერ ფოტოფირზე დაფიქსირებული ქალაქის ხედები და მცირე ინფორმაცია, თავად ქალაქის შესახებ

პატარა ქალაქი ლიმოჟი საფრანგეთის ატლანტიკური სანაპიროს აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს. იგი რომაელი იმპერატორის ავგუსტუსის დროს - მე-10 საუკუნეში დაარსებულა და შემდგომ იმპერატორების მმართველობის პერიოდში გალიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად და ქრისტიანობის უძველეს კერად ითვლებოდა. საფრანგეთის რევოლუციამდე, ლიმოჟი, საფრანგეთის პროვინციის, ლიმუზენის მთავარი ქალაქი იყო. იგი 40-ზე მეტ ეკლესია-მონასტერს მოიცავდა.

ქალაქი განთქმული ყოფილა საუკეთესო ცხენსაშენებით. იქ აწარმოებდნენ ფაიფურს, ტექსტილს და სხვ. ლიმოჟი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ადგილს პარიზიდან სამხრეთ საფრანგეთში გადასატანი საქონლის დასაბანდებლად და რაც მთავარია XIV-XVIII საუკუნეებში განთქმული იყო ლიმოზინებით - მომინანქრებული ნაკეთობებით.

დღეს, ლიმოჟის პატარა ქუჩები, მყუდრო მოედნები, ულამაზესი ისტორიული შენობები და ძეგლები მეტად საინტერესო სანახაობას წარმოადგენს აქ ჩამოსული სტუმრებისათვის.

მოამზადა ნინო ლალიძემ

# limoges

The small city of Limoges is located in the Eastern part of French Atlantic coast. It was founded in the 10th century, during the reign of Roman emperor Augustus and played an important part in the history of Gallia in the subsequent centuries. Limoges is one of the oldest centers of Christianity in the country. Before the French Revolution, Limoges was the central city of Limousin Province. The city was famous for horse breeding, porcelain and textile production, acted as a layover place for the goods, transported from Paris to Southern France and, what is most important, enamel decorations. Today, the city of Limoges with its narrow streets, cozy plazas and beautiful historical buildings and monuments attracts a great deal of tourists.

It is our pleasure to present here the views of the city, taken by participant of Eclats d'Email exposition, Georgian artist David Chkheidze.













# 25 Realized Designs

On October 21, Gallery-office ArtFact hosted personal exhibition of architect-designer Vasil Tokhadze. In the exhibited photos, reflecting the architect's works, many of the attending publc recognized architecture and interiors of their own houses and offices – all what Vasil Tokhadze had been creating for 25 years.

Design made accessible to everyone – this was the key idea of the exhibition, which was attended by professionals, colleagues, past and future clients. The public should know how to set up a comfortable and attractive-looking environment and who will help them to accomplish this task. Assistance in creation of quality design – just is the vocation of ArtFact Ltd., which Vasil Tokhadze confirmed by presentation of his highly professional works.



# 25 რეალიზებული დიზაინი

21 ოქტომბერს გალერეა-ოფისში „არტეფაქტი“ გაიმართა არქიტექტორ-დიზაინერის ვასილ თოხაძის პერსონალური გამოფენა. ფოტოსურათებით წარმოდგენილ გამოფენაზე საზოგადოების ნაწილმა საკუთარი საცხოვრებელი ბინების, ოფისების არქიტექტურა და ინტერიერი ამოიცნო, ანუ ის რასაც 25 წელია ქმნის და ემსახურება ვასილ თოხაძე.

დიზაინი ხალხისთვის - ასეთია გამოფენის დედააზრი. გამოფენაზე მოწვეული იყვნენ პროფესიონალები, კოლეგები, ყოფილი თუ პოტენციური კლიენტები და დამკვეთები. მათი სახით წარსულსა და აწმყოს შორის ამდაგვარი ალიანსი კი უდაოდ დრომ მოიტანა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს როგორ მოიწყოს მყუდრო და ლამაზი გარემო და ვინ დაეხმარება ამაში. სწორედ ამაში დაგეხმარებათ შ.პ.ს. „არტეფაქტი“, რომლის პრეზენტაციას წარმოადგენს ვასილ თოხაძე

კომფორტული, მყუდრო საცხოვრებელი თუ სამუშაო გარემოს მოსაწყობად პროფესიონალია საჭირო. წარმოდგენილი ექსპოზიცია შ.პ.ს. „არტეფაქტის“ მაღალი პროფესიონალიზმის დასტურია.



# არქიტექტორთა საერთაშორისო სიმპოზიუმი ანტალიაში

კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა-შენარჩუნების ინოვაციური საკითხების განხილვას მიეძღვნა 2007 წლის 17-21 სექტემბერს ანტალიაში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი.

სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს: საბერძნეთის, თურქეთის, მაკედონიის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, ბელგიის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის სფეროში მოღვაწე წამყვანმა სპეციალისტებმა.

სიმპოზიუმის ორგკომიტეტის თავმჯდომარის, სტამბულის ილდიზის უნივერსიტეტის პროფესორის გორუნ არუნის მოწვევით, საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა არქიტექტორებმა: ასოციაცია „ინჟინრული აზრის“ პრეზიდენტმა, ბატონმა მალხაზ ლეკვეიშვილმა და ასოციაციის გამგეობის წევრმა, ქალბატონმა ნინო ჩაჩავამ.

სიმპოზიუმი მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს. ლექცია-სემინარებზე მოხსენებით გამოდიოდნენ შესაბამისი დარგის მაღალი რანგის სპეციალისტები – ლ. ბინდა – მილანის უნივერსიტეტის პროფესორი, იტალია; მ. დრადრასკი – საბერძნეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი; პ. ლორენცო – მინჩოს უნივერსიტეტის პროფესორი, პორტუგალია; ს. მოდენა – პადოვას უნივერსიტეტის პროფესორი, იტალია; პ. როკა – კატალონიის უნივერსიტეტის პროფესორი, ესპანეთი და სხვები. მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობობდნენ პროფესიონალების თეორიულ მოსაზრებებს, რეკონსტრუქცია-რესტავრაციის სფეროში არსებული გადასაჭრელი ამოცანების, სიახლეებისა და ავანგარდის შესახებ.

ანტალიის სიმპოზიუმმა კიდევ ერთხელ მისცა შესაძლებლობა არქიტექტურულ საზოგადოებრიობას საერთაშორისო მასშტაბით გასცნობოდა რეკონსტრუქცია-რესტავრაციის სფეროში ინოვაციებს, ამ დარგში მოღვაწე პროფესიონალთა გამოცდილებებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რესტავრაციის საქმეში; იმედია საქართველოდან წარგზავნილი არქიტექტორები საერთაშორისო სიმპოზიუმზე მიღებულ ცოდნას გაუზიარებენ კოლეგებს და გაითვალისწინებენ სარეკონსტრუქციო-სარესტავრაციო სამუშაოების წარმოების პროცესში

ლალი ბახტაძე

## INTERNATIONAL SYMPOSIUM OF ARCHITECTS IN ANTALIA

International symposium of architects, arranged in Antalia on September 17-21 2007 with participation of Greek, Turkish, Macedonian, German, Italy, Spanish, Portuguese, Romanian and Belgian experts, was fully dedicated to discussion of the innovative issues, related to conservation and rehabilitation of cultural heritage.

Georgian architects: representatives of association "Engineering Thought" Malkhaz Lekveishvili (president) and Nino Chachava (member of the Board of Directors), were invited to Antalia by Professor Gorun Arun (of Ildizi University, Istanbul), chairman of the organizing committee of the symposium.

The event included a wide range theoretical and practical activities. Thematic seminars were delivered by the leading specialists of the relevant fields: L. Binda (professor of Milan University, Italy), M. Dradraski (professor of the Greek Academy of Science), P. Lorenzo (professor of Mincho University, Portugal), S. Modena (professor of Padua University, Italy), P. Rocca (professor of Catalan University, Spain) and others. The attendants were enabled to get familiar with theoretical considerations of the professionals, the unsolved issues, innovations and advanced technologies in the spheres of reconstruction and restoration.

Special interest was caused by practical activities conducted at cultural heritage sites, where the organizers provided an exhaustive demonstration of innovative methods of reconstruction and restoration.

The symposium, arranged in Antalia, provided the international architectural community with another possibility to exchange the experience and knowledge. We hope that representatives of our country, who took part in the symposium, will share the lessons, learned at the symposium with their Georgian colleagues and practically apply them to the sphere of reconstruction and rehabilitation, which is so important for our country.

LALI BAKHTADZE













მედალიონი "ყველაზე დიდი მზე" ვერცხლი, მოოქროება.
THE LARGEST SUN (MEDALLION; GILDED SILVER)



მედალიონი "მზე ზღვაში ჩადის" ვერცხლი, მოოქროება.
SUN SETTING IN THE SEA (MEDALLION; GILDED SILVER)



მედალიონი "მზე იცინის" ვერცხლი, მოოქროება.
LAUGHING SUN (MEDALLION; GILDED SILVER)



სამაჯური "ოქროს ლომი" განშლა თითბირი (დაუმთავრებელი)
GOLDEN LION (BRASS BRACELET; UNFINISHED)

# მზე ყველასათვის

მონოქრომული მეტალოფერწერა, ჯერჯერობით ეს ყველასათვის უცნობი ტერმინია, მაგრამ მალხაზ რუსაძის ნამუშევრების დახასიათება სწორედ ამ მოკლე ტერმინით შეიძლება. ტექნიკაც, ჟანრიც და კონცეფციაც ამ ტერმინშია გაერთიანებული.

მონოქრომული მეტალოფერწერით შექმნილი ნამუშევრები ერთი შეხედვით მედალიონების ან სამკაულების სახით არსებობენ, მაგრამ თავიდან ყოველი მათგანი სუფთა ხელოვნების ნიმუშად არის შექმნილი. მხოლოდ მოგვიანებით, მათი კომპაქტურობისა და პოზიტიური ხასიათის გამო იძენენ ისინი სამკაულის ფუნქციას.

მათი იერი გულგრილს არავის ტოვებს და თუნდაც ერთხელ ნახვის შემდეგაც კი მნახველს მათთან მუდმივი კონტაქტის სურვილი უჩნდება. ნამუშევრები მხოლოდ ვერცხლში ჩამოსხმისა და მოოქროვების შემდეგ იწყებენ არსებობას. ოქროს ფენის ოდნავი ცვეთის შემდეგ მედალიონებს ვერცხლის მსუბუქი ელფერიც ემატება და ძვირფასი ლითონის ეს ნაკეთობები სრულფასოვან ფერწერულ, უფრო ზუსტად მეტალოფერწერულ რეგისტრში გადადიან.

ყოველ ნამუშევარში ჩანს ავტორის მიერ განცდილი მზის უსასრულო სილამაზე. მიუხედავად თემის მოჩვენებითი ერთგვაროვნებისა, არც ერთი ნამუშევარი არასდროს აღარ მეორდება. მზის მრავალფეროვნება სწორედ სახვითი ცვალებადობით ჩანს მედალიონიდან მედალიონში.

მალხაზის "მზეებში" იგრძნობა თანამედროვე ადამიანის გენეტიკური მახსოვრობა და ქვეცნობიერი კავშირი იმ შორეულ წინაპრებთან ვისთვისაც მზე მხოლოდ მნათობი არ იყო.

ბაია წიქორიძე



მედალიონი "მზის რაში" ვერცხლი.
SUNNY STEED (MEDALLION; SILVER)

# Sun for Everyone

Monochrome metal painting – this term, hardly known to the public, precisely describes Malkhaz Rusadze's art, its technique, genre and conception.

Malkhaz Rusadze treats his samples of monochrome metal painting as full-fledged works of art – however, his works are eagerly used as medallions and ornaments due to their compact size and lively and optimistic character. They never leave onlookers indifferent – these exquisite gilded silver medallions are utterly expressive, especially after the thin layer of gold wears off with time and the light tint of silver highlights their artistic nature.

Each piece of Malkhaz Rusadze's art conveys his interpretation of infinite beauty of the sun. In spite of the seeming homogeneity of the theme, none of the works ever replicates the others, highlighting the ever-changing character of the source of the artist's inspiration.

The little "suns", created by Malkhaz, evoke the genetic memory of the mankind and its subconscious connection with the ancestors, for whom the Sun was more than just a celestial body.

BAIA TSIKORIDZE



მედალიონი "ბაიას პატარა მზე" ვერცხლი, მოოქროება.
LITTLE DANDELION SUN (MEDALLION; GILDED SILVER)



მედალიონი "ანგელოზი მზეში" ვერცხლი, მოოქროება
ANGEL IN THE SUN (MEDALLION; GILDED SILVER)



სამაჯური "გველეშაპი" (განშლა) ვერცხლი, ნაწილობრივი მოოქროვება
DRAGON (SILVER BRACELET; PARTIALLY GILDED)



საყურეები: "მზის ჩანჩქერი" და "ათინათი" ვერცხლი მოოქროება.
SUNNY WATERFALL, SUNLIGHT PLASHES (EARRINGS; GILDED SILVER)




# "თანამედროვე ქართული ქანდაკება და კერამიკა"

გამოფენის ორგანიზატორები - კომპანია "ბაგები სითი ჯგუფი", გალერეა "ვერნისაჟი" "ბაია გალერეა".

ბაგები სითი ჯგუფის ინიციატივით „ბაია გალერეამ “ და გალერეა "ვერნისაჟმა" 12 ოქტომბერს ახალი საცხოვრებელი კომპლექსის - „პარკ პლეისის“ ეზოში განახორციელა პროექტი – „ქართული ქანდაკება“. ეს იყო ერთდღიანი გამოფენა ღია ცის ქვეშ და წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მასალისაგან - ბრინჯაო, ხე, თიხა, ქვა - შესრულებული სხვადასხვა ზომის ქანდაკებები. ექსპოზიციას ქმნიდა გია ჯაფარიძის, როლანდ ნაროუშვილის, ოთარ ვეფხვაძის, გენო ზაქარაიას, ნუგზარ მანჯაფარაშვილის, ლალი ქუთათელაძის, ნატო ერისთავის, ალექსანდრე კაკაბაძის ნამუშევრები.



პროექტს ჰქონდა ექსპერიმენტის სახე: არქიტექტურულ კომპლექში ახალი სივრცობრივი და ვიზუალური ორიენტირის სახით გაჩნდა სკულპტურული ობიექტები, რითაც საგრძნობლად შეიცვალა არქიტექტურული ლანდშაფტის იერი. გარემო გახდა ესთეტიკურად და კულტურულად განსაზღვრული. ეს გამოფენა იყო არსებულ სივრცისათვის არსებული ქანდაკებების მორგების საშუალება, მაგრამ გაჩნდა საპარკო ქანდაკების კონკურსის იდეა, რომელიც გულისხმობს კონკრეტული ადგილისათვის საგანგებოდ შექმნილი ქანდაკების ან ობიექტის შესრულებას, მასშტაბის, სივრცის, გარემოს გათვალისწინებით. ეს ახალი ინიციატივა ხელს შეუწყობს ქანდაკების ხელოვნების განვითარების პროცესს.

ბაია წიქორიძე



# “Modern Georgian Sculpture & Ceramics”

*Exhibition organized by “Bagebi City Group”, Gallery “Vernissage” and “Baia Gallery”.*

Following the initiative of “Bagebi City Group”, Gallery “Vernissage” and “Baia Gallery” implemented project “Georgian Sculpture” in the courtyard of newly-built residential complex ParkPlace. This one-day exhibition in the open air, organized on October 12, featured bronze, wooden, clay and stone sculptures of various sizes by Gia Japaridze, Roland Naroushvili, Otar Vepkhvadze, Geno Zakaraia, Nugzar Manjaparashvili, Lali Kutateladze, Nato Eristavi and Alexander Kakabadze. This pilot project, aiming at introduction of ready sculptural objects into an existing architectural complex, brought surprisingly impressive changes into the architectural landscape and gave birth to an idea of organizing a competition of park sculpture, implying creation of sculptural objects with pre-defined environment and size requirements, which will support further development of Georgian sculpture.

BAIA TSIKORIDZE









# "ევროპლანტ ჯორჯიას" პრეზენტაცია



2007 წლის 7 დეკემბერს, 18:00 საათზე, თბილისში, საგამოფენო კომლექსის "ექსპო ჯორჯიას" №1 პავილიონში შედგა ფირმა "ევროპლანტ ჯორჯიას" პრეზენტაცია.

"ევროპლანტ ჯორჯიას" თანადამფუძნებელი და სტაბილური პარტნიორია დეკორატიული მცენარეების წარმოების, ლანდშაფტური არქიტექტურისა და დაგეგმარების ერთ-ერთი ევროპული ლიდერი, ასწლოვანი ტრადიციის მქონე პოლონური კომპანია "გრაფჩევსცი", რომლის ნარგავები ამშვენებს ევროპის 15 ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს, მათ შორის თბილისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებს, სამების საკათედრო ტაძრის ეზოს. "ევროპლანტ ჯორჯიას" ახალგაზრდა სპეციალისტთა გუნდი სწორედ "გრაფჩევსცის" მდიდარ გამოცდილებასა და მაღალ პროფესიონალიზმს ეყრდნობა.

მეცნიერებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ეკოლოგიურად დაბალანსებულ, მწვანე სივრცეებში ადამიანის ფსიქოლოგიური სტატუსი ბევრად უფრო მდგრადია, კრიმინოგენული სიტუაცია მშვიდი. "ევროპლანტ ჯორჯიას" მთავარი მიზანი ასეთი მწვანე ოაზისების შექმნაა. სწორედ ამიტომ ის თავის მომხმარებელს სთავაზობს:

- ლანდშაფტური პროექტების დაგეგმვასა და შესრულებას;
- ბაღებისა და გაზონების გაშენებასა და მოვლას;
- დეკორატიული მცენარეებით მომარაგებას;
- სამებაღეო და სარწყავი სისტემებით უზრუნველყოფას;
- კვალიფიციური მებაღეებისა და დიზაინერების მომსახურებას.

საახალწლოდ "ევროპლანტ ჯორჯია" თბილისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით უპრეცედენტო აქციას ატარებს: თბილისელებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ ლიცენზირებული საშობაო ნაძვი ქოთნით, დაცული ფესვთა სისტემით და ახალი წელი ცოცხალი ხის სურნელოვან გარემოში გაატარონ, დღესასწაულბის დასრულების შემდეგ კი ნერგი მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე გადარგონ და ხელახლა გაახარონ.

გაახარე და გაახარე – "ევროპლანტ ჯორჯია"!











# Presentation

On December 7 2007, Europlant Georgia arranged a presentation in Pavilion 1 of Expo Georgia Exhibition Complex.

Co-founder and stable partner of Europlant Georgia is one of the leaders of decorative plant growing, landscape architecture and design in Europe - Polish company "Grafchevski", whose plantings adorn the cities and towns of 15 European countries, including the Botanical Gardens of Tbilisi and Batumi, as well as the courtyard of Sameba Cathedral in Tbilisi. The team of young experts from Europlant Georgia builds their efforts on the rich experience and high professionalism of "Grafchevski" Company.

It is generally accepted, that ecologically balanced, green environment acts as an important stabilizing and pacifying factor, affecting the psychological status of the population. Europlant Georgia, setting creation of such green oasises as its main goal, offers the consumer the following services:

- Planning and implementation of landscape architecture projects
- Development and maintenance of gardens and lawns
- Supply of decorative plants
- A range of gardening and watering systems
- Services of professional gardeners and designers.

With the support of Tbilisi Municipality, Europlant Georgia plans an unprecedented New Year action: a sale of licensed Christmas trees in pots with protected root systems, which will enable the population of Tbilisi to spend the holidays in an environment-friendly atmosphere and then plant their Christmas tree saplings at a land plot, specially allocated by the Municipality.

Support the life and enjoy it - with Europlant Georgia!








სამშენებლო კომპანია
დომინანტი
სამშენებლო კომპანია შპს "დომინანტი". უზნაძის 6ა. ტელ.: 94-23-55, 95-74-03, 899 63-00-11

NEW LIGHT

ახალი ნათება

WORLD OF LIGHTING




www.newlight.ge

თბილისი, ალმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ /ალ. ყაზბეგის №25ა
დიდუბის ქ.6 / ხოშარაულის ქ. 34 მალაზია №49

ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის №21 /ქ.გორი ცხინვალის გზატკ. №4

ქ.ქუთაისი , ალმაშენებლის №7